მამული ვაშენოთ ერთად, მხარდამხარ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 184 (11490)
კვირა
9
აგვისტო
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

შვიდ წელიწადში ქალაქებსა და მუშათა დასახლებაში აშენდება 650-660 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ამ ციფრების მნიშვნელობა რომ შეგაფასოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1956 წელს მთელი საქალაქო საცხოვრებელი ფონდი შეადგენდა 678 მილიონ კვადრატულ მეტრს. ეს იმას უდრის, რომ ჩვენი სამშობლოს სივრცეებში გაჩნდება 15 ახალი ქალაქი, ისეთები, როგორიც მოსკოვია, ან დაახლოებით 100 ისეთი ქალაქი, როგორიც გორკია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მემორანდიდან.



შვიდწლედის გამარჯვებისათვის, მშენებლებო!

★ ★ ★ ★

თბილისი — მოსკოვი

გიორგი ედიკაშვილი —

მოსმშენის პირველი ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს პავლე სმირნოვის კომუნისტური შრომის ბრიგადას

ძვირფასო მეგობარო, სმირნოვ!
მოსკოველო მშენებლებო, ჩვენო ძმებო!

ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის წინ საბჭოთა ხალხი აჯამებს განვლილი მუშაობის შედეგებს, სახავს ახალ ამოცანებს. ჩვენც, მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს მეორე უბნის რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების კომპლექსური ბრიგადის წევრებმა, მშენებლის საკავშირო დღის წინ შევაჯამეთ ჩვენი შრომის ნაყოფი შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მშენებელთა ჩვენი კომპლექსური ბრიგადა წარმატებებს აღწევს.

მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ექვსი თვის დავალება 141,4 პროცენტით გაანაღდა. ამაში წვლილი მიუძღვის ჩვენს ბრიგადასაც. საცხოვრებელი სახლების აშენების ნახევარი წლის გეგმა 145 პროცენტით გავანაღდეთ. № 1 მასივზე ყველა საცხოვრებელი სახლი ვადაზე 10-15 დღით ადრე გადავეცით საექსპლოატაციოდ, დაახლოებით 4 პროცენტით შევამცირეთ რკინაბეტონის კონსტრუქციების აწყობისათვის საჭირო ცემენტის ხარჯვა, სამუშაოებს ვაწარმოებთ მხოლოდ ელექტროშედუღებით.

ეს წარმატებები შრომის სწორი ორგანიზაციის მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის, რეზერვების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე მოვიპოვეთ. ბრიგადის თვითეული წევრი ფლობს კალატოზის, შემდუღებლის, მემონტაჟის პროფესიას. ყველა სამუშაოს ჩვენ თვითონ ვასრულებთ, ბრიგადაში არა გვყავს დამხმარე მუშები. ეს საგრძნობლად აიაფებს მშენებლობას და ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

თბილისელმა მშენებლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას. პირველ წერილში, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გამოგიგზავნეთ, გატყობინებდით, რომ დაუღალავად ვიბრძოლებდით ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის. სიტყვა არ გაგვიტეხია. დღეს ბრიგადაში არა გვყავს არც ერთი ჩამორჩენილი, ყველა მუშა დაახლოებით თანაბრად და დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს. მეგობრული დახმარების ხელს ვუწვდით სხვა ბრიგადებს. ახლა სამშენებლო ობიექტებზე ფართოდ არის გაჩაღებული მოძრაობა ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის, საერთო აღმავლობის მიღწევისათვის.

უსაზღვრო სიხარულით აღვივსეთ, როცა თქვენი კომპლექსური ბრიგადისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მინიჭების ამბავი შევიტყეთ. ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ ჩვენი ბრიგადაც გახდეს ამ საპატიო წოდების ღირსი, რომ სახელოვან მოსკოველ მშენებლებს მეგობრებიც კარგი გყავდეთ.

მოსკოველო მეგობრებო!

გილოცავთ მშენებლის დღეს, სულით და გულით გისურვებთ ახალ სასახელო წარმატებებს სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ გაჩაღებულ შემოქმედებითს შრომაში.

გიორგი ედიკაშვილი,
მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს მეორე უბნის რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

★ ★

მოსკოვი — თბილისი

პავლე სმირნოვი —

მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების გიორგი ედიკაშვილის კომპლექსურ ბრიგადას

ძვირფასო მეგობარო! ქართველო მშენებლებო!

მოგილოცავთ მშენებლის დღეს!

დარწმუნებული ვართ გაინტერესებთ, როგორ შეგხვდით ჩვენს პროფესიულ დღესასწაულს, როგორ ვმუშაობთ, რა წარმატებებს ვაღწევთ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

შვიდწლიანი გეგმით დასახულია გრანდიოზული პროგრამა, რომელსაც გმირული შრომით ხორცს ასხამს საბჭოთა ხალხი. ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი მშენებლობათა ხარაჩოებშია. შენდება ახალი კვარტალები, საცხოვრებელი რაიონები.

ჩვენი ბრიგადის წევრები ერთსულოვნად შრომობენ შვიდწლედის დავალებათა პირნათლად გასაღებებისათვის. წლის დამდეგს, სანამ ახალი რვასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას შევუდგებოდით, მოვეთათბირეთ ერთმანეთს და მტკიცედ გადავწყვიტეთ გვებრძოლნა მშენებლობის ვადის შემცირებისათვის, მასალების ეკონომიისათვის. სიტყვა საქმედ ვაქციეთ. საცხოვრებელი კორპუსი ვადაზე 50 დღით ადრე გადავეცით საექსპლოატაციოდ და 230 ათას მანეთზე მეტი დავზოგეთ. დღეისათვის ჩვენს ბრიგადას ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია აქვს.

ეს წარმატებები მოპოვებულ იქნა ბრიგადაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მშენებლობის პროგრესული მეთოდების დანერგვით, საშენი მასალების ყაირათიანად ხარჯვით, ბრიგადის თვითეული წევრის ბეჯითი, მუყაითი მუშაობით. ახლა ხუთსართულიანი მსხვილპანელებიანი საცხოვრებელი სახლის მონტაჟს ვამთავრებთ. ამ სახლს მობინადრენი ვადაზე ორი თვით ადრე მიიღებენ.

მშენებლის საკავშირო დღის წინ ჩვენს ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება მიენიჭა. ეს გაზრდილ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. კვლავაც შეუპოვრად ვიბრძოლებთ მშენებლობის დაჩქარებისათვის, მინი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

კიდევ ბევრი საინტერესო სამუშაო მოგველის. მალე დავიწყებთ რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. გადაწყვეტილი გვაქვს ამ ობიექტზე ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო მექანიზებული წესით შეგასრულოთ. მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვა საშუალებას მოგვცემს ვაშენოთ გაცილებით უფრო სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად. დავზოგავთ საშენ მასალებსა და სახსრებს.

ჩვენო თბილისელო ძმებო! გელით მოსკოვში, რომ პირადად გავიცნოთ ერთმანეთი, უფრო დაწვრილებით, გულდასმით გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, მშენებლობის პროგრესული მეთოდები. ეს ხელს შეგვიწყობს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების პირნათლად განაღდებაში.

პავლე სმირნოვი,
მოსმშენის პირველი ტრესტის მეექვსე სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

მშენებლის დღე

გიორგი ედიკაშვილის *ბრიგადამ 6 თვის გეგმა 145 პროცენტით გაანაღდა*

პავლე სმირნოვის *ბრიგადამ საცხოვრებელი კორპუსი 50 დღით ადრე გადასცა საექსპლოატაციოდ*

ხარაჩოები მიიწევენ ცისკენ

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: გადატრუსული ველი, კილომეტრების მანძილზე არ ჩანს ხე, არ ჩანს სახლი ან რაიმე ნაგებობა...

მაგრამ მოვიდა ადამიანი, მოიტანა ბარი, წერაქვი, ნაჯახი... გაიყვანა გზა, ააგო ქარხანა, გააშენა საცხოვრებელი უბნები და იქ, სადაც ხვატი და სიჩუმე იყო, სიცოცხლე დამკვიდრდა.

მიმიხვდით? დიახ, ლაპარაკია რუსთავზე, ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა მშვენიერ ქალაქზე.

ამას წინათ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ძირითადად მიმდინარეობს ქალაქის მშენებლობა, შევხვდი რუსთავის ერთ-ერთ მოწინავე მშენებელს.

სამშენებლო მოედანზე, უზარმაზარ ამწესთან შეჩერდა რკინაბეტონის კონსტრუქციებით დატვირთული ავტომანქანა. იქვე განხდა მაღალი შავგვრემანი ყმაწვილი.

— ეს შოთა მოდებაძეა, — მაცნობს უბნის უფროსი ა. ცომაია.

შოთას სამუშაოზე მიეჩქარება.

— მოითმინეთ, ვერ გაგიშვებთ, ვიდრე არ ვისაუბრებთ, — ხუმრობით ვუთხარი მშენებელს.

— ახლა არ შეიძლება, უამრავი სამუშაო გვაქვს, საღამოს შევხვდეთ ერთმანეთს.

— კეთილი.

ჩვენი შეხვედრა კვლავ სამშენებლო მოედანზე მოხდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შოთა ახლა თავისუფალი იყო და შეეძლო ესაუბრნა.

— ჩემი ბრიგადა კომკავშირულ-ახალგაზრდულია, — თქვა შოთამ, — ვიბრძვით კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების მოპოვებისათვის. გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ხარისხს. ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ ბრიგადაში კარგად მომზადებული კვალიფიციური მუშები არ არიან. ახალგაზრდობას გადავცემთ მოწინავე მეთოდებს, ჩვენს გამოცდილებას. ორი წლის წინათ მოვიდა ჩვენთან ახალგაზრდა რ. ოტიაშვილი. მონდომებული ყმაწვილი აღმოჩნდა. ყოველნაირად დავეხმარეთ კალატოზობის დაუფლებაში. სამი თვის შემდეგ მეოთხე თანრიგი მიიღო.

რ. ოტიაშვილი გამონაკლისი როდია, ჩვენს ბრიგადაში „აიდგეს ფეხი“ შ. ქათამაძემ, ნ. კონონოვმა, ა. ფოლადიშვილმა, ნ. სოლომონოვმა და სხვებმა.

შ. მოდებაძემ წამოაყენა რამდენიმე წინადადება. საჭიროდ ჩავთვალე მათი ჩანაწერა. აი ეს წინადადებები:

პირველი. რკინაბეტონის ნაგებობათა კომბინატის კოლექტივმა საჭიროა გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. კერძოდ, სატიხრე ფილებს, კედლებს და სასართულთაშორისო გადახურვის მასალებს მისცეს მეტი სიმაგრე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ უძლებენ ტრანსპორტირებას. საბოლოოდ კი ეს მოქმედებს ხარისხზე.

მეორე. უნდა გაუმჯობესდეს მომარაგება. ამით აღმოვფხვრით მოცდენებს.

მესამე. კარგი იქნება, თუ ჩვენთან ერთად ხარისხისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან არქიტექტორები, დამპროექტებლები. სამწუხაროდ, მათ თითქმის ვერც კი ვხედავთ სამშენებლო ობიექტებზე.

— ჩვენი ბრიგადა დავალებებს ასრულებს 150-160 პროცენტით, — თქვა დასასრულ შ. მოდებაძემ, — მაგრამ ეს წარმატება ზღვრული არ არის.

ზ. მერკვილაძე.

* * *

სურათზე: შოთა მოდებაძე.

მშენებელთა დღესასწაულზე

8 აგვისტოს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა სამშენებლო, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციებისა და საწარმოების, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მუშების, მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კრება, რომელიც მიეძღვნა მშენებლის დღეს.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოკანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, მოწინავე მშენებლები, მშენებლობათა, საწარმოთა ხელმძღვანელები.

საზეიმო კრება გახსნა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ ვ. ... მეფარიშვილმა.

მოხსენება მშენებლის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ვ. ლორთქიფანიძემ.

მშენებლებს მხურვალედ მიულოცეს დღესასწაული და უსურვეს შემდგომი წარმატება „მთავართბილისმშენის“ უფროსმა ვ. მ. ქართველიშვილმა, რუსთავის ცემენტის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. ნ. კიკნაძემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა მ. ი. ბერეზკინმ, რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის მეტეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ა. ბოჭორიშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ვ. მელაძემ. (საქდესი).

ახალი გამარჯვებები

მოსკოვი. 8 აგვისტო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სპორტულ მოედნებზე, საცურავ აუზებში, დარბაზებში ბრძოლები არ ცხრება, მიმდინარეობს წინასწარი შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, წყალბურთში, ჭადრაკში, ჩოგბურთში. დღეს სპარტაკიადის ჩემპიონატისათვის ბრძოლაში ჩაებნენ მოფარიკაველები.

სპარტაკიადის გახსნის წინ მოეწყო უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია, სადაც მოხსენება გააკეთა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის სახპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ვალუევმა. დღეისათვის 8,5 მილიონი კაცით გაიზარდა ჩვენი სპორტსმენების რიგები. მომზადებულია ერთიორად მეტი სპორტის ოსტატი, ვიდრე პირველ სპარტაკიადაში. წელს ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 85 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.

7 აგვისტოს დილით შეიდგა საქართველოსა და მოლდავეთის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. მართალია, შეჯიბრება საქართველოს კალათბურთელთა გამარჯვებით (96-80) დამთავრდა, მაგრამ მათ ამ შეჯიბრებაში ვერ აჩვენეს ტემპიანი, კომბინაციური ბრძოლა. საქართველოს ვაჟთა გუნდს ორი შეხვედრიდან 2 გამარჯვება აქვს და ფინალში გასვლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია.

ამავე დღეს ქალთა გუნდების მატჩებიდან ყურადღებას იპყრობდა ლატვიისა და საქართველოს გუნდების ასპარეზობა. პირველი ტაიმი მოიგეს ლატვიელებმა 20:17, მაგრამ შეჯიბრების მეორე ნახევარში ქართველმა კალათბურთელებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 41:39.

მოფარიკაველთა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ როგორც ქალები და ვაჟები, ისე მოზარდი სპორტსმენები. საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა დაამარცხა ესტონელთა და ეს ტონეთის სპორტსმენები 5:3, 5:0, ხოლო ვაჟთა გუნდმა ყირგიზეთის მოფარიკაველი 9:3.

წყალბურთელები განაგრძობენ ბრძოლას. პირველ მატჩში საქართველოს სპორტსმენებმა დაამარცხეს ესტონეთის გუნდი 7:2, ხოლო მეორე შეჯიბრება თურქმენეთის გუნდთან მოიგეს 9:1.

ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა მოუგო ტაჯიკეთის ფრენბურთელებს 3:1.

ასპარეზობის პირველ ტურში საქართველოს ჩოგბურთელებმა დაამარცხეს მოლდავეთის გუნდი 15:0, ხოლო მეორე ტურში მოუგეს ლენინგრადის ძლიერ გუნდს და ნახევარფინალში გავიდნენ.

სილამაზის, სიჯანსაღის ზეიმი

8 აგვისტოს 100 ათასზე მეტი მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი დაესწრო ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის საზეიმო გახსნას. ტრიბუნებზე ირიალებენ მოკავშირე რესპუბლიკების ალმები. დიდი სასპორტო ასპარეზის შუქვიან ტაბლოზე არის სიტყვები მისალმებისა ჩვენ ბრძოლის მონაწილეებისადმი. მაყურებელთა შორის არიან სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ტრიბუნებზე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები. დღესასწაულზე ჩამოვიდნენ უცხოეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებიც — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის დელეგატები.

მქუხარე ტაშით ხვდებიან შეერთებული ცენტრალურ ლოჟაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების გამოჩენას.

პარადის სარდალი, სპორტის დამსახურებული ოსტატი XVI ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ვიქტორ ჩუკარინი უპატაკებს სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ნ. რომანოვს. სსრ კავშირის საასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკაკ ცენტრალური კომიტეტის სახელით ნ. ნ. რომანოვი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს სპორტსმენებს ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღეს და სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებათა გახსნას.

საბჭოთა სპორტის მთელი ნაღები, მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები ჩამწკრივდნენ მინდორში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ალმის აღმართვის დროს. და აი ჩვენი სამშობლოს დროშა უკვე ფრიალებს სტადიონზე. გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა. იწყება პარადი. ზედიზედ მოდიან უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების კოლონები.

ტრიბუნებს ჩაუარა 200 მედროშემ, რომლებიც მიჰყვებოდნენ პარადის კოლონებს, ხოლო მინდორში უკვე გამოცვივდნენ ნარინჯისფერი ტანსაცმლით გამოწყობილი ქალიშვილები საზოგადოება „სპარტაკის“ 1.200 ტანმოვარჯიშე ქალბა მაყურებლები გაიცვიფრა სილამაზით სატანვარჯიშო ნორმების შესრულებისას. მარტო სპარტაკელებმა როდი ისახელეს თავი დღესასწაულზე ოსტატობით. საინტერესო პროგრამა აჩვენეს საზოგადოება „დინამოს“ სპორტსმენებმა, შრომითი რეზერვების ტანმოვარჯიშეებმა და სხვა კოლექტივებმა.

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი სასპორტო დღესასწაული გადაიქცა საბჭოთა სპორტის მიღწევების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად. (საქდესი).

სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში მონაწილე მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა ერთი ჯგუფი.
ფოტო ვ. მასტიუკოვისა და ლ. სტუფინისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ მ. ნიქსონს

6 აგვისტოს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის რიჩარდ მ. ნიქსონის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი, რომელიც შეიცავდა მადლობას სსრ კავშირში მოგზაურობასთან დაკავშირებით.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილი რიჩარდ მ. ნიქსონისადმი.

პატივცემულო ბ-ნო ნიქსონ.

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ თქვენი თავაზიანი წერილისათვის, რომლითაც მადლობას იხდით სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც თქვენ, ქ-ნ ნიქსონს და თქვენი მხლებელი ჯგუფის წევრებს აღმოუჩინეს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს.

მოხარული ვიყავი, როცა გავიგე, რომ თქვენ კმაყოფილება მიიღეთ ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობით, საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრებით და საუბრებით, აგრეთვე ჩვენი პირადი საუბრებით, და ეს მიგაჩნიათ მეტად ძვირფასად ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, ჩვენი ხალხის მშვიდობისმოყვარული განზრახვისა და მისწრაფების უკეთ გაგებისათვის.

თქვენ, უეჭველია, შეამჩნიეთ, რომ როგორც საშინაო საკითხებში, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში საბჭოთა კავშირის მთავრობა მთლიანად და სავსებით ხელმძღვანელობს თავისი ხალხის ინტერესებით — უზრუნველყოს ბედნიერი ცხოვრება სიმიდრე მშვიდობისა და სიწყნარის პირობებში. საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა ერთიანი არიან თავიანთ გულწრფელ მისწრაფებაში მეგობრული ურთიერთობა დამყარონ შეერთებულ შტატებთან, ისე, როგორც სხვა ქვეყნებთან.

მე ვიზიარებ იმის იმედს, რომ ასეთი ვიზიტები და შეხვედრები, რომლებსაც თან ახლავს აზრთა მეგობრული და გულახდილი გაზიარება, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის უკეთესი ურთიერთობის დამყარებას. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა ვიზიტების შემდგომი გაცვლა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას საერთაშორისო სიძნელენი და გადაჭრით განმტკიცდეს მშვიდობა ყველა ხალხის ინტერესებისათვის.

ჩემი მეუღლე სიამოვნებით უერთდება თქვენდამი, ქ-ნ ნიქსონისა და თქვენი თანმხლები პირებისადმი საუკეთესო სურვილების გამოთქმას.

გულწრფელი პატივისცემით.

ნ. ხრუშჩოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მამული ვაშენოთ ერთად, მხარდამხარ

მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს მეორე უბნის რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): მ. დაბრუნდაშვილი, გ. ელიკაშვილი (ბრიგადირი), ძმები ხ. და ა. ისტომინები, ი. ქადაგიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საღეჭისო თემაზე

გოსტნეული — მშრომელებს

ბოსტნეულის წარმოების მკვეთრად გადიდება უმნიშვნელოვანესი პირობაა მშრომელთა კვების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

აუცილებელია სწორად მოეწყოს მომხმარებლებისათვის ბოსტნეულის მიწოდება.

ამ საქმეში მეტად პასუხსაგები მოვალეობა აკისრიათ ცეკავშირს, თბილისის ხილბოსტანეულეგაჭრობას, საქართველოს კონსერვტრესტს და სხვა ორგანიზაციებს. უწინარეს ყოვლისა მათს მოქნილ, ოპერატიულ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის წარმატება.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. საკმარისია ითქვას, რომ 1959 წლის მოსავლიდან ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა რესპუბლიკაში 1 აგვისტოსათვის შესრულებული იყო მხოლოდ 12,8 პროცენტით. თბილისის ხილბოსტანეულეგაჭრობის ბაზით უნდა დამზადდეს 21.445 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული. 1 აგვისტოსათვის დამზადებული იყო 3.950 ტონა. თბილისის ხილბოსტანეულეგაჭრობის სამგორის, მარნეულის და მცხეთის რაიონები (კანტორის მმართველები: ი. ღოშბაევი, ვ. კარანაძე და ხ. გოგოძე) ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბოსტნეულით ქალაქ თბილისის მომარაგების საქმეში.

ცეკავშირი ბოსტნეულის შესყიდვას აწარმოებს რესპუბლიკის 21 რაიონში და აფხაზეთის, აჭარის ახს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საკმაოდ ფართო ქსელია მთავარია ბოსტნეულის დამზადების სწორად მოწყობა. თეთრი წყაროს, დუშეთის, კახეთის, საგარეჯოს, ბოლნისის, ხაშურის, გორის, ქარელის, ადიგენის, ახალციხის, ახმეტის რაიონებს ცეკავშირისათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმები ერთი მესამედითაც არა აქვთ შესრულებული.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ვალია მიიღონ ზომები ამ დიდი ჩამორჩენის დასაძლევად.

გოსტნეული — მშრომელებს

მარჯვე საბჭოური „ვილისი“, რომელსაც პროფესიული ოსტატობით მართავს ლაჯანურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინერი რევაზ კლდიაშვილი, ორბელის საუღელტეხილო გზის აღმართებზე მიჰქრის, უკან იტოვებს მძიმედ დატვირთულ თვითსაცლელებს და მტვრის ბუღს.

ცამდე აწვდილი გოროზი მთები თავიანთი მელოტი მწვერვალების სიმაღლიდან ამაყად დასცქერიან დაკლაკნილ გზატკეცილს. მთიდან მონაბერი გრილი ნიავი ახალისებს სუნთქვას და კაცს დაადგეწყდება, ამ გაგანია ზაფხულის დღეებში თუ არის სადმე ისეთი ადგილი, სადაც მეტი სიგრილე სასურველად მიაჩნდეთ. გზა მაღლა და მაღლა მიიწევს ცხენისწყლის ხეობის გადასახედამდე. უკან რჩება ლეჩხუმის მშვენიერი სოფელი ორბელი და ლაჯანურის ხეობა.

იქნებ აქ, რიონისა და ლაჯანურის ამ იწროებში, უმოგზაურნია „ეფემერების“ ავტორს, ქართული ლექსის ჯადოქარს გალაკტიონს, იქნებ ამ გოროზმა მთებმა, თვალშეუდგამმა, ორბების ნაბუდარმა კლდეებმა შთააგონეს ჯვარის უღელტეხილის სიდიადისა და დარიალის უფსკრულების მნახველ პოეტს მჩქეფარე ლექსის სტრიქონები კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის შესახებ?..

მთავარი ინჟინრის გვერდით ზის პეტრე წულუკიძე — მეცნიერი სპეციალისტი ბეტონის დარგში, ბეტონის ხარისხის საკონტროლო ჯგუფის ხელმძღვანელი. სიამით ისმენს მესამე მგზავრი ჰათ საუბარს ლაჯანურჰესის მშენებლობაზე წამოჭრილი ახალი საინჟინრო საკითხების შესახებ.

ლაჯანურჰესი საბჭოთა საინჟინრო შემოქმედების ახალი სიტყვაა, მეტად ორიგინალური, საინტერესოდ მოფიქრებული სქემის ჰიდროელექტროსადგურია. ამ სპეციალისტებს მისი მსგავსი ჯერ არსად უნახავთ, არც გგულვებათ. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა ორი ამ მაღალკვალიფიციური ინჟინრის საუბრიდან.

* * *

დიდი აღმავლობით ემზადებოდნენ თავიანთი პროფესიული დღესასწაულისათვის — მშენებლის დღისათვის ლაჯანურჰესელები. ეს მზადება მათ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, პარტიის XXI ყრილობის მუშაობის დღეებში დაიწყეს. მაშინ მათ იკისრეს ვადაზე ერთი წლით ადრე, მიმდინარე წლის ბოლოსათვის აემუშავებინათ ლაჯანურჰესი.

ვადამდე ერთი წლით ადრე ასეთი რთული აღნაგობის ჰიდროელექტროცენტრალის ამუშავება პატარა საქმე როდია. მშენებლობის ვადის ერთი წლით შეკვეცა ნიშნავს მრავალი ათეული მილიონი მანეთი ეკონომიის მიღებას სახელმწიფოსათვის, გარდა ამისა ნიშნავს რიონის კასკადის ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრის მნიშვნელოვნად გადიდებას, მათი საშუალო წლიური დატვირთვის ვადის გახანგრძლივებას, ათობით მილიონი კილოვატსაათი ენერგიის შემატებას რესპუბლიკის ენერგეტიკული ბალანსისათვის.

ლაჯანურჰესის სქემა დაახლოებით ასეთია:

ორბელის მთა, რომელიც ხომლის მთაგრეხილს კუდივით წაუგრძელებია, წყალგამყოფ ზღუდედ აღმართულა ცხენისწყალსა და ლაჯანურს შუა. დასავლეთით ცხენისწყლის ხეობაა, აღმოსავლეთით — ლაჯანურისა. ეს მთა მშენებლებმა გრძელი, მრავალკილომეტრიანი გვირაბით გახვრიტეს, გვირაბს წყალმიმყვანი არხი შეუერთეს, რათა შემდგომში ამ გვირაბით ცხენისწყალი მდინარე ლაჯანურს შეუერთონ. გვირაბის გამოსავალთან ლაჯანური მოედინება. ორიოდე კილომეტრის შემდეგ იწყება კლდეების სამყარო, სადაც შენდება საბჭოთა კავშირში პირველი თაღოვანი კაშხალი, რომელმაც უნდა შეაგუბოს წყალი და მეორე საკმაოდ გრძელი გვირაბით კლდოვანი მთის სიღრმისაკენ გაუშვას. ამ მთის წიაღში გამოკვეთილია უზარმაზარი მოცულობის სივრცე, სადაც უკვე გამართულია ე. წ. გამათანაბრებელი რეზერვუარი, საწნეხი შახტი, ტურბინებთან წყალმიმყვანი კოლექტორი და გაჩაღებულია საგენერატორო შენობის აგება. ამ საშუაოებს აწარმოებს და განაგებს საქართველოს ჰიდროენერგოშენებლობის ტრესტის ცალკე სამშენებლო სამმართველო, რომელიც დასპეციალებულია გვირაბმშენებლობაში და რომელსაც ხელმძღვანელობენ ინჟინრები ა. ცნობილაძე და ნ. მაკარეკინი.

ორიოდე თვის შემდეგ, დიდი ოქტომბრის მომავალი დღესასწაულის დღეებში ცხენისწყლის ნაწილი უნდა გადაუშვან ლაჯანურის ხეობაში, დაიწყონ წყალსაცავის შეგუბება და მზადება მეორე საწნეო გვირაბით წყლის გასაშვებად კლდოვანი მთის გულში გამართული მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურისაკენ, რათა დეკემბრის ბოლომდე მისცენ რესპუბლიკას დენი.

ასეთია ლაჯანურჰესის მშენებელთა ვალდებულება და პატრიოტული ღირსების ამოცანა. ასეთი დაპირების შესასრულებლად იბრძვიან ისინი და უხარიათ, რომ სასახელოდ შეასრულეს ის სამუშაოები, რომლებიც მშენებლების

ნარკვევი

დღის აღსანიშნავად ჰქონდათ მონიშნული.

მთელ თავიანთ ჭაბუკურ ენერგიას, უსაზღვრო ენთუზიაზმს აქსოვენ მინდობილ სამუშაოს შესრულებაში ლაჯანურჰესელი მკლავმარჯვე მშენებლები — ოთარ ბლიაძე და ალექსანდრე ორლეანიკოვი, რაჟდენ თვარაძე და ვარდენ ბანძელაძე, ლევან ბლიაძე და ლავრენტი სილაგაძე, მომპირკეთებელთა ბრიგადირი ივანე ლომაკინი და ლილია დონსკაია, ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკოსები ვლადიმერ ჭარბაძე, მიხეილ აბზიანიძე, პაველ თვარაძე, თენგიზ ჩუბინიძე, გიზო კუჭუხიძე და სხვები. ძნელია მრავალრიცხოვან მოწინავეთაგან ანაზღაურებულად ყველის დასახელება.

დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული საბოლოო უბანზე ალაპანის კლდოვანი მთის წიაღში. ამონტაჟებენ ჰიდროტურბინებს და გენერატორებს, აწყობენ წყალმიმწოვ მილსადენებს, ექსპლოატაციისათვის ამზადებენ ტურბინების მიერ გადამუშავებულ წყალგამოსავალ გვირაბს, თავგამოდებით იბრძვიან იმისათვის, რომ არ ჩამორჩნენ მთელი კოლექტივის საერთო წარმატების დონეს, რესპუბლიკის მშრომელებს საახალწლო ნობათად მიუძღვნან ამუშავებული ლაჯანურჰესი.

ასეთი სულისკვეთებით შრომობენ ყოველდღე ალპანის უბანზე გივი ნადირაძე და მისი უკრაინელი თანამოსაგრეები ივანე ქუკი და მიხეილ კუზმენკო, ფრიდონ ჭელიძე და ნიკოლოზ დემიანოვი, ვალერიან ვარაზაშვილი და ვლადიმერ პრიანიკოვი, მრავალი სხვა მოწინავე მშენებელი.

* * *

დასასრულს უახლოვდება ლაჯანურჰესის მშენებლობა. ადამიანის შემოქმედებითი ნიჭისა და ყოველისშემძლე მარჯვენის წინაშე ქედს იხრიან გოლიათი მთები, გიჟმაჟი მდინარეები, თავგბრუდამხვევი უფსკრულები...

დ. ლომოთაძე.

ქედს იხრიან მთები

გასტრონი ძველ ლ[illegible] ზღაპრიდან

ფელეტონი

— შეიძლება?

მობრძანდით.

შემოსული მდაბლად უკრავდა თავს საკურორტო სამმართველოს უფროსს, მოკრძალებული ნაბიჯებით უახლოვდებოდა მის მაგიდას, თან გზადაგზა ქაღალდის გრძელ გრაგნილს ხსნიდა.

—პროექტის დამტკიცების თაობაზე გეახელით.

სამმართველოს უფროსი ნახაზს დააკვირდა, მერე მის წარმომდგენს მიუბრუნდა:

— თქვენ რომელი პროფესიული კავშირიდან ბრძანდებით. რამდენ ადგილიანი იქნება თქვენი დასასვენებელი სახლი?

გრაგნილის მომტანი ჯერ დაბნეულა ამ მოულოდნელმა და უცნაურმა შეკითხვამ, მაგრამ მალე მოვიდა გონს. მიხვდა, რომ მის მიერ წარდგენილი საკუთარი სახაფხულო აგარაკის პროექტი დასასვენებელ სახლად მიიჩნიეს.

— მე, ჩემო ბატონო, აკაკი ირაკლის-ძე შაფთავა გახლავართ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სარეწაო საბჭოს ცენტრალური ლაბორატორიის დირექტორად ვმუშაობ. ჩემი მეუღლეც უმაღლესი განათლებით გახლავთ, ისიც მუშაობს. მუყაითი და მშრომელი ხალხი გახლავართ და მოვახერხეთ ცოტა თანხა შეგვეგროვებინა.

— აა, უკაცრავად, კერძო აგარაკს აშენებთ? მე კი დასასვენებელი სახლი მეგონა, — თქვა სამმართველოს უფროსმა და ახლა უფრო ყურადღებით დახედა ნახაზს, — სამსართულიანი სახლი... ეტყობა კარგა ბლომად დაგიზოგავთ.

— მე და ჩემი მეუღლე ორივე ვმუშაობთ და მოგეხსენებათ, თუ ადამიანი მშრომელი და მუყაითია...

— ალბათ დიდი ოჯახი გაქვთ, თორემ ამოდენა სახლი?

— ოჯახი... ოჯახი, რასაკვირველია, დიდი გვაქვს. მართალია შვილი ერთის მეტი არ გვაჩუქა გამჩენმა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, ნათესავები, მეგობრები, სტუმრიანობა...

—სულ რამდენია სამივე სართულის საცხოვრებელი ფართობი.

— უკაცრავად, თქვენ ნახაზმა შეცდომაში შეგიყვანათ, — ბანზე ააგდო სიტყვა შაფთავამ, — სახლი ფაქტიურად ორსართულიანი იქნება. მართალია ფასადის ერთ მხარეს თითქოს მართლაც სამი სართული ჩანს, მაგრამ ეს რელიეფის ცდომილებაა.

უფროსმა თუმცა ვერ გაიგო რას ნიშნავდა ეს „რელიეფის ცდომილება“, მაგრამ დავა არ გაუგრძელებია იმაზე, ორსართულიანი იყო სახლი თუ სამსართულიანი, მან უბრალოდ განცვიფრება გამოხატა ამ კაცის უზომო მადის გამო და წარმოდგენილი პროექტი უკან დაუბრუნა. თბილისის საქალაქო საბჭოში უნდა დამტკიცებინოთო.

ერთი საათის შემდეგ განაწყენებული და დაღონებული აკაკი შაფთავა შინისაკენ მიიჩქაროდა და თავისთვის ფიქრობდა:

„ო, რა შურიანები არიან ადამიანები, რად გიდა ამოდენა საგარაკო სახლი, რომელი სახსრებით ამშენებო, რას იქმეკები ჩემს ჯიბეებში და ჩემს სულში, ბიჭი ვარ და ვაშენებ, თუ მინდა, სამსართულიანს კი არა, ოთსართულიანს ავაშენებ, შენ ვინ გეკითხება. ნუ დამიმტკიცებენ პროექტს, სულ ერთია მაინც ავაშენებ“.

* * *

— აბა, პა-პა-პა-პა, ამ თანხას კაპიკი არ დაიკლდება — გაასავსავა ხელები შაფთავამ და წამოდგა, თითქოს სადღაც მიეჩქარებოდა.

— ხუთი ათას ხუთასი მანეთი ძალიან ბევრია, ბატონო აკაკი.

— თქვენთვის ბევრია, ჩემთვის კი ცოტაა. ჩანს ვერ მოგრიგდებით.

— საბავშვო ბაღია, ბატონო აკაკი, ამდენი სახსრები არა გვაქვს, პატარებს მაინც გაუწვიეთ ანგარიში.

— ეს კაცი გადამრევს! ბავშვები რა, ჩემი გერები და შვილობილები არიან თუ... ბავშვები... მით უარესი ჩემთვის, ყველაფერს ამოიხრჩობენ და გამიტიალებენ.

ათას მანეთს მაინც რომ დაგვიკლებდეთ, ბავშვების კეთილისათვის გამოვიყენებდით მაგ თანხას.

— რას გადამეკიდე, ადამიანო, არ ვიქირავებ, მორჩა და გათავდა! ჩემი ეგ სახლი, თქვენი ხომ არ არის, ბატონო, გაბრაზდა შაფთავა და ქუდი დაიხურა.

ბოლოს მაინც მორიგდნენ. საბავშვო სახლმა თავიდანვე კიკეთი აირჩია ბავშვების საგარაკოდ და ახლა უკვე არსად წაეფლეთო. შაფთავა მტკიცე კაცი აღმოჩნდა და ხუთი ათას ხუთას მანეთს კაპიკი არ დაუკლია.

საუზმის შემდეგ ბავშვები გარეთ გამოეფინენ სათამაშოდ. ორი ბიჭუნა ცალკე განაპირდა ჩრდილში, ჩხირები და ქვები მონახეს და ციხე-კოშკის აგებას შეუდგნენ პაწია ბალახიანი ბორცვის მახლობლად.

— ჭია-მარია! — დაიყვირა უცებ შეტეხა ბიჭმა. ბავშვებმა ერთბაშად მიატოვეს „სამუშაო“ და ორივემ ერთად დაიჩოქა ბალახებში. სწორედ იმავ წუთს სად იყო, სად არა, ციხე-კოშკს ვეება ტერფი დაეცა და სივრცეში ჭუხილივით გაისმა ბოხი ხმა:

— თქვენ აქ რას იჩიჩქნებით ლორიებივით, პაპათქვენის მამული ხომ არ გგონიათ. დაიკარგეთ აქედან!

ბავშვებმა ერთი კი ახედეს ამ მრისხანე კაცს, ფერდობზე დაგორდნენ შინებულები და აღმზრდელისაკენ მოკურცხლეს. ეს სახლის პატრონიანო, განუმარტა აღმზრდელმა. შაფტეხა ბიჭს უცებ გაახსენდა ბებიას ნაამბობი ზღაპარი მრისხანე ბატონისა და მოჯამაგირის ოქროსჭოჩრიანი ბიჭის შესახებ და მოეჩვენა, რომ ეს კაცი სწორედ ის ბატონი იყო, ბებია რომ უამბობდა. მოეჩვენა, და ატირდა შეშინებული.

პატარები მიხვდნენ, რატომაც ტიროდა შეტეხა ბიჭი, შაფთავამ კი ვერ გაიგო, რა ჰქონდა სატირალი ამ „ღლაპს“.

რამდენიც უნდათ იტირონ ბავშვებმა, იწუწუნონ, დარდითა და ბოღვირით გასკდნენ მათი მშობლები და აღმზრდელები, აკაკი შამათავა მაინც დაიცვამს თავის უფლებას საკუთრებაზე. კისერიც უტეხიათ! აკაკი შაფთავას ახლა თვით გაუჩნდა სადარდელი; ვერ მიმხვდარა, ვერ გაუგია, რატომ აღდგა მოული ქვეყანა მის წინააღმდეგ, რატომ გაკიცხა იგი პარტიამ, ხალხმა, რატომ არ დაზოგეს ამხანაგებმა და მეგობრებმაც კი.

„ო, რა შურიანი, ბოროტი და ულმობელი ყოფილან ადამიანები“ — ფიქრობს აკაკი და ხვნეშის ბოლმითა და დარდით აღსავსილი.

„ო, რა ხარბი და გაუმაძღარი ყოფილა აკაკი შაფთავა“, — ამბობენ მასზე ვინც ამ კაცს იცნობს და მრისხანებით ევსებათ გული.

ერთი მხრივ არის გაბორტყელილი კაცის ფიქრები, კაცისა, რომელსაც სასლსა და ბორცში აქვს გამჯდარი მესაკუთრული, წვრილბურჟუაზიული გრძნობები, მეორე მხრივ საზოგადოებრივი აზრი, მრისხანე და ულმობელი. და მაინც შაფთავას მარტო თავისი თავი ჰგონია მართალი. ჰგონია, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ, კომუნისტური პარტიის რიგებიდან რომ გარიცხეს. დაჩაგრულად გრძნობს თავს და ჩივის, ჩივის ყველგან...

ვერ მიხვდა? მისთვის უარესი.

მ. მიქაძე.



„ხახხოვრად კიკეთიდან“ — ასეთი წარწერით დაუგზავნა ა. შაფთავამ ნაცნობ-მეგობრებს თავიანი აგარაკის ეს ფოტოსურათი. ცხადია, განმარტება არ დაურთავს. დახედეთ ამ სურათს, განა მას რაიმე განმარტება სჭირდება?!

სტრიქონი საქმე ცოცხლდება

გაზეთების ფურცლებზე

საშუარის ქარხანა, რომელიც ინგურის ქაღალდის კომბინატთან შენდება, სსრ კავშირში პირველი საწარმოა, რომელიც გამოიყენებს საკვებ საფუარს უშუალოდ სულფიტის ტუტეზე. საფუარის წარმოებას ამ ქარხანაში საფუძველად დაედება სრულყოფილი ტექნოლოგიური სქემა და ტკბილის მომზადების, საფუარის ამოყვანის, გარეცხვის, კონცენტრაციის, შემოხსნისა და შრობის განუწყვეტელი პროცესი.

ეს გარემოება, რომ საწარმოო პროცესი განუწყვეტელი იქნება, ხელს უწყობს ქარხნის ავტომატიზაციას, რომელიც მაქსიმალურად იქნება აღჭურვილი ხელსაწყოებით საფუარის წარმოების ავტომატური რეგულირებისა და კონტროლისათვის.

ამის შედეგად ქარხანას ცვლაში მომსახურებას გაუწევს სულ 7-8 კაცი.

„ინგურის მუშა“

* * *

ამას წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები ჩამოვიდნენ ხიხაძირში ძველი ქართული ხალხური ხიმღერების ჩასაწერად. მათ დახმარება გაუწია კულტურის სახლის დირექტორმა თ. გაბაიძემ. ჩაწერილ იქნა სიმღერები „შვიდკაცა“, „ნანა“, „დილა“, „ალიფაშა“, „ჩელ“, „მასპინძლური“, „ვოისა“ და ახლახან შესწავლილი „ქალთა ხერხლის ნადური“. აგრეთვე ჩაიწერეს უხუცესი მეკობონის მ. გორგაძის შესრულებით „ბორეული“, „გალდაგან“, „ცხენოსნური“, „შემოთენება“ და „პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან“.

სიმღერების შესრულებაში გამოირჩეოდნენ ა., მ., ი., ო. გაბაიძეები, გულა მიქელაძე და სხვ.

„კოლექტიური შრომა“ (ხულო).

* * *

ფლითიფლოგიით იზრდება ქვეშეთელ მშრომელთა მოთხოვნილება ყურნალ-გაზეთებზე. ამჟამად სოფელში ყოველდღე 600-ზე მეტი ყურნალი და გაზეთი მოდის, მათ შორის ცენტრალური გაზეთები: „პრავდა“, „იზვესტია“, „სელსკოე ხოზაიასტვო“, რესპუბლიკური გაზეთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და მრავალი სხვადასხვა ყურნალი. სოფელში იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელსაც გაზეთი არ ჰქონდეს გამოწერილი.

„ბამარჯვების გზით“ (ხაშური).

* * *

იუალთოს აკადემიის ტერიტორიაზე ტურისტთა კარავებია გადაჭიმული. აქ დიდძალი მნახველი მოდის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ტკბებიან ბუნების მშვენიერებით, ეცნობიან საქართველოს კულტურულ წარსულს.

— ჩვენ გვიყვარს „ვეფხისტყაოსანი“, — წერს შთაბეჭდილებათა წიგნში რიგელი მასწავლებელი ბუინა აინა. — როცა ვნახეთ ძველი ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი — იუალთოს აკადემია, რომელშიც, გადმოცემით, შ. რუსთაველს უსწავლია, იგი ჩვენთვის უფრო მახლობელი და საყვარელი გახდა.

მსგავსი ჩანაწერები აქ სხვაც ბევრია.

„კოლმეურნის ხმა“ (თელავი).

მახარაძის რაიონული სამომხმარებლო კოოპერაცია უკვე მეორე წელია მომსახურებას უწევს ჩაის პლანტაციებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავეებს. ავტოსავაჭრო ყოველდღიურად დადის ლიხაურის, ჭანიეთის, ნაგომარის, მაყვანეთის და სხვა კოლმეურნეობებში. ავტოსავაჭროს ყოველთვის აქვს სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფართო ასორტიმენტი.

სურათზე: ავტოსავაჭრო სოფელ ჭანიეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ა. აბულაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1959 წლის 1 აგვისტოსათვის

	1959 წ.	1958 წ.	1958 წ. 1959 წლთან შედარებით, %	ნაწილი 1959 წ. პროცენტებით 1958 წ. შედარებით, %	რა ადგილზეა ნაწილის მატების მიხედვით.
სულ რესპუბლიკაში	816	740	110	113	
აქედან:					
რაიონები საშუალო ნაწველის ოდენობით 1959 წლის 1 აგვისტოსათვის					
1. ბათუმის	1612	1419	114	115	27
2. ბოგდანოვკის	1288	1175	109	110	40
3. დმანისის	1268	1261	101	110	38
4. წალკის	1259	1254	100	110	44
5. ქობულეთის	1255	1074	117	118	20
6. ახალქალაქის	1169	1015	115	116	24
7. წითელწყაროს	1084	941	115	119	19
8. საგარეჯოს	1083	819	132	130	7
9. ასპინძის	1080	1023	106	110	39
10. გურჯაანის	1073	1055	102	111	37
11. თეთრი წყაროს	1057	790	134	136	3
12. მახარაძის	1051	980	107	109	45
13. ბოლნისის	1024	985	104	113	33
14. ტყიბულის	957	797	120	121	17
15. მცხეთის	948	885	107	113	32
16. სამგორის	932	888	105	108	49
17. ლაგოდეხის	925	709	131	139	2
18. სიღნაღის	888	754	118	126	11
19. მარნეულის	850	774	110	116	25
20. სტალინირის	818	785	104	110	43
21. ახალციხის	811	644	126	122	16
22. ქარელის	804	682	118	136	4
23. ზნაურის	803	767	105	104	56
24. ბორჯომის	802	769	104	113	31
25. გორის	802	770	104	109	48
26. თერჯოლის	797	710	112	117	23
27. ხარბერის	790	618	128	151	1
28. ადიგენის	783	678	116	124	12
29. თელავის	782	722	108	112	36
30. ჯავის	771	742	104	106	53
31. ახმეტის	759	671	113	124	13
32. დუშეთის	742	690	108	110	41
33. ორჯონიკიძის	736	653	113	114	28
34. ზესტაფონის	727	572	127	126	10
35. ხაშურის	717	600	120	120	18
36. აბაშის	711	645	110	115	26
37. თიანეთის	710	710	100	104	55
38. გაგრის	709	614	116	123	14
39. კასპის	694	574	121	131	6
40. სამტრედიის	690	588	117	128	9
41. ონის	679	660	103	103	59
42. ზუგდიდის	672	592	114	117	22
43. ამბროლაურის	669	562	119	113	35
44. წყალტუბოს	668	652	103	101	61
45. ყვარლის	664	616	108	118	21
46. ყაზბეგის	654	481	136	134	5
47. მესტიის	645	586	110	114	30
48. ლენინგორის	641	640	100	106	54
49. ჩობალაურის	614	570	108	99	63
50. ცხაკაიის	613	577	106	109	47
51. ლანჩხუთის	594	554	107	104	57
52. ცაგერის	583	552	106	108	60
53. წულუკიძის	551	551	100	106	52
54. ქალ. ჭიათურა	548	467	117	122	15
55. ქედის	533	475	112	114	29
56. ხულოს	532	489	109	108	50
57. წალენჯიხის	518	511	101	100	62
58. ხობუმის	514	492	105	109	46
59. ლენტეხის	508	475	107	104	58
60. ვანის	505	462	109	113	34
61. გეგეჭკორის	501	475	106	87	68
62. გალის	489	497	98	93	66
63. ხობის	485	470	103	94	65
64. მაიაკოვსკის	475	474	100	107	51
65. ჩხოროწყუს	457	452	101	93	67
66. გუდაუთის	457	426	107	110	42
67. შუახევის	452	426	106	98	64
68. ოჩამჩირის	449	482	93	129	8

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

მშვიდობის ქარი ძლევს ომის ქარაშოს

ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის მომავალი ვიზიტების გამო

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკადრო). დღეს ნიუ-იორკის ყველა გაზეთი დიდრონი სათაურით ბეჭდავს ცნობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრესკონფერენციის შესახებ. ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრება შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერის საპასუხო ვიზიტი საბჭოთა კავშირში კვლავ ძირითადი თემაა, რომელსაც განიხილავს ამერიკის პრესა. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, რომ ამერიკელთა დიდი უმრავლესობა იწონებს ვიზიტების მომავალ გაცვლას.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" ბეჭდავს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის დირექტორის დ. გელაპის სტატიას, რომელშიც ნათქვამია: „როცა საბჭოთა პრემიერ-მინისტრი ნიკიტა ს. ხრუშჩოვი ფეხს შემოდგამს ამერიკის მიწა-წყალზე, ეს იქნება მოვლენა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მიესალმებოდა ამერიკის საზოგადოებრიობა".

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჰუვერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი „მეტად გონივრულად მოიქცა", რომ გადაწყვიტა გაუცვალოს ვიზიტები საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

პრესა იუწყება, რომ ნიკიტა ხრუშჩოვს მისდის ახალი მიწვევა ესტუმროს შეერთებული შტატების სხვადასხვა ადგილს ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი მომავალი მოგზაურობის დროს. „ნიუ-იორკ ტაიმსი" აქვეყნებს კორესპონდენციას სათაურით: „საბჭოთა პრემიერს კვლავ მისდის მიწვევა ქალაქებისა და მოქალაქეთა ჯგუფებისაგან".

გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერსი", რომელიც გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების განწყობილებას, ე. დორანის სტატიაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ შეხვედრას უკავშირებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობას.

„ბევრი ბიზნესმენი აქ და საზღვარგარეთ, — ნათქვამია სტატიაში, — რწმენით მოელის, რომ გაუმჯობესდება საერაშორო ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრემიერ ხრუშჩოვს შორის მოეწყობა განზრახული ვიზიტების გაცვლა წელს შემოდგომაზე".

დორანი აღნიშნავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლები ბევრ დარგში მტკიცედ მოითხოვენ უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობას რუსეთთან" და იმედს გამოთქვამს, რომ ვიზიტების გაცვლა ხელს შეუწყობს იმ დაბრკოლებათა აღმოფხვრის საქმეს, რომლებიც ხელს უშლიან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობის განვითარებას.

მონტევიდეო, 7 აგვისტო. (საკადრო). ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების მომავალი გაცვლის საკითხი კვლავ ლათინური ამერიკის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთების აზრით, ვიზიტების ამ გაცვლამ ლათინური ამერიკის ქვეყნების ბევრი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე დააყენა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ გადასინჯონ თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. როგორც რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, ბრაზილიის ოფიციალურ წრეებში აქტიურად განიხილავენ სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხს. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, რომ ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს ეს ღონისძიება აუცილებლად მიაჩნიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის ვიზიტების მომავალი გაცვლის მიხედვით.

ლათინური ამერიკის გავლენიანი წრეების განწყობილებას მოწმობენ კოლუმბიის გაზეთი „ელ ტიემპოს" კომენტარები. „ახლანდელი სინამდვილე, — წერს გაზეთი, — ლათინურ ამერიკას მთელ რიგ საკითხებს უყენებს, რომლებიც ყურადღებისა და ანალიზის ღირსია". გაზეთის აზრით, ლათინურმა ამერიკამ უნდა გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება სოციალისტურ ქვეყნებთან. ლათინურმა ამერიკამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა მოვლენათა მსვლელობისაგან გარიყული არ დარჩეს, აცხადებს გაზეთი.

ურუგვაის გაზეთი „ელ პოპულარი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლათინური ამერიკის მშვიდობისმოყვარე ხალხები ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების გაცვლის შესახებ შეხვდნენ „როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი ურთიერთგაგების გზაზე გადადგმულ ნაბიჯს".

დელი, 7 აგვისტო. (საკადრო). როგორც კატმანდუდან იუწყებიან, ნეპალის მთავრობა მიესალმა ვიზიტების მომავალ გაცვლას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს შორის. ნეპალის მთავრობის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება ვიზიტების გაცვლის შესახებ განმტკიცებს მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

მივყვეთ გონების გზას, სიცოცხლის გზას

ხიროსიმა, 7 აგვისტო. (საკადრო). მუშაობა დაამთავრა მეხუთე საერთაშორისო კონფერენციამ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და განიარღებისათვის.

რამდენიმე დღის მანძილზე მსოფლიოს 27 ქვეყნის წარმომადგენლებმა მეგობრულ საქმიან ვითარებაში განიხილეს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის მსოფლიო მოძრაობის შემდგომი აღმავლობის საკითხები.

კონფერენციის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს დღეს ხიროსიმის მოწოდება და რეკომენდაციები მშვიდობისათვის და ატომური იარაღის აკრძალვისათვის მსოფლიო მოძრაობის მონაწილეებისადმი.

ჩვენ, ნათქვამია ხიროსიმის მოწოდებაში, ახლა გადამწყვეტი არჩევანი უნდა მოვახდინოთ. ერთი მხრივ, ჩვენს წინაშეა ნგრევის იარაღის შემდგომი დაგროვებისა და ატომური იარაღის სულ უფრო მეტ ქვეყანაში გავრცელების გზა, რომელიც აუცილებლად დამოლოგდება გამანადგურებელი ატომური ომით. მეორე მხრივ, ჩვენს წინაშეა გონების გზა, სიცოცხლის გზა. ეს გზა ითვალისწინებს, რომ ქვეყნებს შორის სხვადასხვა დავა გადაიჭრას საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, რომ დამყარდეს კონტროლი ატომური იარაღისადმი, მოისპოს ომის საფრთხე, შემცირდეს შეიარაღების მსოფლიო მარაგი, ატომური ენერგია და სხვა რესურსები გამოყენებულ იქნას შობშილისა და სიღატაკის ლიკვიდაციისათვის.

კონფერენციის მონაწილენი მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს ხალხებს და მათ მთავრობებს განახორციელონ ღონისძიებანი მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხის აღმოსაფხვრელად.

ომისშემდგომ წლებში იაპონიაში გამოვიდა ლექსთა არაერთი კრებული, რომელთა ავტორები სასტიკად გმობდნენ ახალი ომის გაჩაღების პოლტიკას. ამ კრებულთა შორის აღსანიშნავია „ხიროსიმის სიმღერები", რომელიც ისე გამოჩნდა გადაბუგულ ქალაქში, როგორც „ია უდაბნოში".

ეიესაკუ იონედა

ექვსი აგვისტოს სილა

არ მინდა ფეხი
დავადგა სილას, —
ცოცხალი ტანი
ის იყოს თითქო...
სილაც ხისხლივით
იძვრის და ბრწყინავს
და ხისხლის სითბოს
ჰგავს სილის სითბო...
შრება სილნარი
ჩემს თვალთა წინა
და ხველი სილა
ხისხლივით ბრწყინავს...
სილნარზე ჩრდილი
ფრთხიალეს რუხი
და სივრცეს ავსებს.
ელვარე შუქი...
ჰა, თითქო სილა
წამოდგა ზეზე,
ვიღაცას უმბობს,
რაღაცას ეძებს...
და მე ჩამესმის
ყრუ კვნესა მთისა...
ო, ეს ხისხლია,
ნამდვილი ხისხლი...
არ მინდა ფეხი
დავადგა სილას, —
თითქო ის იყოს
ცოცხალი ტანი...
სილაც ხისხლივით
იძვრის და ბრწყინავს
და მას არ უჩანს
სიგრძე და განი...
აბა, აიფრქვა
ბაერში სილა
და კოცონივით
ელავს და ბრწყინავს...
ნაპერწკლებს ბყრის და
ტკაცუნით იწვის;
ო, ეს ხისხლია,
ნამდვილი ხისხლი...
და მე მგონია:
ეს ხილა მართლ,
მხურვალე ხისხლად
იქცევა, რათა
კვლავ შემოკმედიან
ჩაიდგას სული,
კვლავ აამგეროს
მგზნებარე გული,
კვლავ აღორძინდეს,
ვითარცა ერთ დროს
და მზის სხივივით
ძარღვებში ენთოს...
... არ მინდა ფეხი
დავადგა სილას, —
ცოცხალი ტანი ის იყოს
თითქო...
ხილაც ხისხლივით
ელავს და ბრწყინავს
და ხისხლის სითბოს
ჰგავს სილის სითბო.

თარგმანი გივი ძნელაძისა



საქართველო — ჩინეთი

მიწის სურნელიც თან წაჰყვა

— ორი თვის წინათ ბათუმის აეროპორტის ახაფრენი მოედნიდან ჰაერში აფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც წაიღო საბჭოთა სასელექციო ჯიშის ჩაის 40 გულდასმით შეფუთული ორწლიანი ბუჩქი, რომლებიც გაეგზავნა ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას. წერილში აკადემიის პრეზიდენტს პროფესორ დინ ინის ქართველი მეცნიერი ქსენია ბახტაძე თხოვდა ეცნობებინა რა მდგომარეობაში მიიღწევდნენ ჩაის ბუჩქები დანიშნულების ადგილს. მოზრდილ მცენარეთა გადატანა ასეთ დიდ მანძილზე არ იყო ცნობილი მეცნიერებისათვის და ამიტომ იწვევდა მეცნიერის დიდ ინტერესს.

საქმე მარტო ეს როდია. ღირსშესანიშნავია ოვით ის ფაქტი, რომ ჩაის მეცნარეები გაიგზავნა საქართველოდან შორეულ ჩინეთში — მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყანაში, სადაც ამ ძვირფას კულტურას აშენებენ უძველესი დროიდან. ჩინეთიდან ნახევარი საუკუნის წინათ შემოტანილი იყო ჩაქუში პირველი ჩაის ნერგები. ახლა კი ჩინელი მეჩაიეები სწავლობენ და იყენებენ თავიანთ ქვეყანაში ჩვენი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიღწევებს და მდიდარ გამოცდილებას. სწორედ ამ მიზნით ჩინელმა მეცნიერებმა ითხოვეს გაეგზავნათ მათთვის სასელექციო ჯიშების ჩაის მცენარენი.

გულდასმით და საყვარულით ამზადებდნენ ქართველი მეცნიერები თავიანთ ნერგებს შორეული მოგზაურობისათვის. და აი ჩინელი მეგობრები ატყობინებენ, რომ საბჭოთა სასელექციო ჯიშების ჩაის ორმოცივე ბუჩქი კარგად ჩავიდა დანიშნულების ადგილას და დარგულია ხანჯოუს ჩაის საკვლევი ინსტიტუტის პლანტაციებში.

„ჩვენ მეტად მადლობელი ვართ თქვენი უანგარო დახმარებისათვის. თქვენს მიერ გამოგზავნილი ახალი ჯიშების ჩაი საუკეთესოა. ჩვენ ვაწარმოთ სისტემატურ დაკვირვებას და დაწვრილებით გაცნობებთ ამ დაკვირვებათა შედეგებს. გთხოვთ დაგვეხმაროთ თქვენი რჩევით სასელექციო ჯიშების ჩაის მოვლაში" — წერენ ჩინელი სელექციონერები.

ორმოცმა ახალგაზრდა ბუჩქმა ათასობით კილომეტრ მანძილზე წაიღო ქართული მიწის სითბო და სუნთქვა, ქართველ მეჩაიეთა ხიყვარული და მადლობა თავიანთი პირველი მასწავლებლებისადმი — ჩინელი მეჩაიეებისადმი.

კინოფესტივალზე

დედამიწის ორმოცდაათი ქვეყნიდან ჩამოსულან მოსკოვში კინოხელოვნების გამოჩენილი ოსტატები. დიდი სტუმართმოყვარეობით შეხვდა ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქი ხუთი კონტინენტის ხელოვნების სახელოვან წარმომადგენლებს. 150 კინოფილმი უნდა აჩვენონ ამ უდიდეს ფესტივალზე მოსკოვში. მსოფლიო კინოხელოვნების ასე დიდი შემოქმედებითი დათვალიერება ჯერ არსად არ გამართულა.

„კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ურება საერთაშორისო კინოფესტივალს, რომელიც ახლა დიდი შემოქმედებითი მეგობრობის ნიშნით მიმდინარეობს მოსკოვში.

* * *

სურათზე: საბჭოთა კინომსახიობები ნინა მენშიკოვა და ორნა მაკაროვა ესაუბრებიან კორეელ კინომსახიობს ვონ ჩინ ხის.

ფოტო ა. სტუფინასი (საკადრო ფოტოქრონიკა).

გალადა დაკარგული ჯარისკაცისა

დაუვიწყარია მ. გელოდანს, გ. ნაფეტვარიძის, ს. ისიანის, ა. საჯაიას, ს. ყოენტის სახელები. დიდ სამამულო ომში დაღუპულ ამ ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტთა რიცხვს ეკუთვნოდა ვლადიმერ უბილავაც. პოეტის დაღუპვიდან დღემდე მისი ნაწერების მხოლოდ ორი კრებული გამოიცა. პირველად უფრო მეტი მოცულობით გამოსცა „საბჭოთა მწერალმა", ხოლო „სალიტგამის" ახლანდელი გამოცემა, რომლის რედაქტორია პოეტი ალიო მირცხულავა, უფრო სრულია. ამ კრებულით ქართველ მკითხველს შეუძლია წარმოდგენა იქონიოს ამ ნიჭიერი პოეტის შემოქმედებაზე. წიგნს დართული აქვს ვლადიმერ უბილავას პორტრეტი და ალ. მირცხულავას მიერ დაწერილი წინასიტყვაობა.

ამ კრებულში შეტანილია ერთი საინტერესოდ დაწერილი ლექსი — „ბალადა დაკარგული ჯარისკაცისა". სწორედ ამ ლექსის სათაური აქვს სახელწოდებად მთელ კრებულს, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ეს კრებული ერთი მთლიანი ბალადაა ფრონტზე უდროოდ დაკარგულ ჯარისკაცებზე. ამ ლექსში ვლადიმერ უბილავა მწუხარებით იგონებს ომში დაღუპულ მხედარს, მაგრამ იმიტომ მაინც არ კარგავს:

„შენს მერე ჩვენი ცა ივერცხლება,
გმირები მწყობრში დგანან მთებურად,
წასულ ხუსნი, ირგვლივ მერცხლებად
მთელი სიცოცხლე ამღერებულ".

სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსებიდან ყურადღების ღირსია აგრეთვე: „მას შეღიმოდა ფრონტის დონი", „გურამიშვილის წისქვილი" და „ფითელარმიელის დღიურიდან". ლექსი „უკანასკნელი ღამე". გვიხატავს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში...

„ბნელოდა... ჰქონდათ ალიონამდე
გმირებს და ხანჯლებს ომი შემდგომი;
დილით ლენინის მზე ამოვიდა,
საქართველოში ჰქუხდა რევომი...
ფიქრებში ხშირად ისევ ადგება
ის ბრძოლის ღამე ჯერ არნახული,
მერე წამოდგეს ფეოქვა ვარდების
და ჩემი ქვეყნის ეს გაზაფხული".

ვ. უბილავას ლირიკული ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სასიმღერო ლექსები „ნანა", „ღამით შემოგპარვია" და „ბატა". პოეტის მოუსვენარი სული ჩქეფს ადრინდელ ლექსებშიც:

„ღელვან ბობოქარს სალამი ჩემი,
ზღვაო, დღეს შენი გუგუნის ტკივე
ვარ".

ვ. უბილავა წრფელი გულის ადამიანია. ამიტომ არის მისი ლექსები სიყალბეს მოკლებული. მისი წიგნი მართალი გულის ღაღადისია.

ეპიურ პოეზიაში მუშაობის დაწყების ბრწყინვალე ცდაა ვ. უბილავას პოემა „ტობავარჩხილი". იგი მართალი გულის სიმღერაა, ახალი ცხოვრების მზით გამთბარი. მაგრამ, სამწუხაროდ, პოეტს არ დასცალდა კიდევ უფრო მეტად ეგრძნო კაცობრიობის დიდი გაზაფხულის სითბო. იგი გმირულად დაეცა მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კ. ბოგოხიძე.

ლენინგრადელები მღერიან თბილისში

ლენინგრადის ოპერეტის ანსამბლი თბილისში პირველად ამ ხუთი წლის წინათ იყო. ახლა კი მეორედ ჩამოვიდა და თბილისის ოფიცერთა სახლის საზაფხულო ბაღში 16 აგვისტომდე გამართავს თავის საკასტროლო სპექტაკლებს.

თბილისელი მაყურებელი ნახავს ბ. ალექსანდროვის „ქორწილს მალინოვკაში" და „შორეულ სატრფოს", ი. უარკოვსკის „საზღვაო კვანძს", ი. დუნაევსკის „თეთრ აკაციას", გ. ერივეს „ნიტუშს" და კონცერტს „საყვარელი ოპერეტების ფურცლები".

თბილისში ჩამოსვლამდე ლენინგრადის ოპერეტის ანსამბლმა ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქი მოიარა — ორჯონიკიძე, მახაჩკალა, დერბენტი, ბაქო, ერევანი, ხოხუმი, გაგრა, ოჩამჩირე...

წლევანდელი გასტროლები თბილისში ომითაც არის აღსანიშნავი, რომ ლენინგრადის ოპერეტის ანსამბლს სწორედ ამ დღეებში შეუსრულდა თავისი დაარსების 25 წლისთავი.

ეურნალისტის ბლოკნოტიდან

1.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ [illegible]ოიონის და მისი ადამიანების შრომა და ცხოვრების შესახებ ერთობ ცოტა [illegible]ერება ჩვენს პრესაში. ეს კი მათ [illegible]ფერთან არ დაუმსახურებიათ. პირი[illegible]. ისინი სხვაზე ნაკლებად როდი იღ[illegible]ან საერთო საქმის ინტერესებისათ[illegible], პარტიისა და მთავრობის დავალ[illegible]ა შესრულებისათვის, შვიდწლედის [illegible]ი პროგრამის განხორციელებისათ[illegible].

[illegible]ეს რაიონი მოსახლეობის შემადგენ[illegible]ბით ჭეშმარიტად ინტერნაციონალუ[illegible]. აქ ცხოვრობენ აზერბაიჯანელები [illegible] ქართველები, რუსები, ბერძნები და [illegible]ბები. ყველა მათგანის აზრი და [illegible]�ება ერთმანეთისას ემთხვევა, ამი[illegible]

ისინი გამსჭვალული არიან ერთი [illegible]ურაფებით, ერთი საერთო-საკაცობ[illegible]ი იდეალით — იშრომონ და იცხოვ[illegible]ნ მეგობრულად, ძმურად, მთელი თა[illegible]ნთი ძალღონე მოახმარონ ჩვენი [illegible]ეყნის ნათელ მომავალს — კომუნიზ[illegible]ის შენებლობას.

[illegible]ადანისი, იმითაც არის საყურადღებო, [illegible] იგი მაღალმთიანი რაიონია, მისი [illegible]ები შეფენილია შეპრიალ-შემოჭ[illegible]ლ მთების კალთებზე. სწორედ ეს გა[illegible]ება განაპირობებს ამ რაიონის მე[illegible]ნეობის მიმართულებასაც. სოფლის [illegible]ურნეობის ძირითად დარგს აქ საზო[illegible]ეებრივი მეცხოველეობა წარმოად[illegible].

[illegible]და იცით როგორი მონდომებით, რა [illegible]ესით შრომობენ ამ მაღალმთიანი [illegible]ონის ადამიანები მეცხოველეობის [illegible] მძლავრი განვითარებისათვის? [illegible]ს ამაზე შეხერება, მათ შესახებ ლა[illegible]კაი.

[illegible] იოლ რაიკომ არდადურ? — შეეკითხეთ აზერბაიჯანულად პირველ შემხვედრ აზერბაიჯანელს.

— სწორედ ამ გზით მიხვალთ რაიკომში, — გვითხრა მან სუფთა ქართულით, — აგერ ახალი სახლები რომ მოჩანს, მაგის ბოლოში ხელმარჯვნივ ორსართულიან შენობაშია რაიკომი მოთავსებული.

— თქვენ ქართველი ხართ?

— არა, აზერბაიჯანელი გახლავართ, გვარად ალიევი.

გაგვიკვირდა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად გაგვიხარდა, როცა ალიევმა სუფთა ქართულით გაგვიბა ლაპარაკი.

— მაშინვე შეგატყეთ, რომ ქართველები იყავით, აზერბაიჯანულად გიძნელდებოდათ ლაპარაკი. მე კი დმანისს მკვიდრი ვარ. ყველა აქ მცხოვრებმა კარგად იცის ერთმანეთის ენა. სხვანაირად მუშობლობაც არ შეიძლება.

პარტიის რაიკომში მუშაობის დროს შევესწარით მაჰმედ ყულიევს — რაიკომის პირველ მდივანს. მას აზერბაიჯანულ ენაზე ესაუბრებოდა დმანისის რძის, მთავარი ქარხნის დირექტორი შიო სხირტლაძე.

ჩვენმა შესვლამ მათს საუბარში ერთგვარი დისონანსი შეიტანა. ვთხოვეთ განეგრძოთ მუშაობა.

— ბარემ ამხანაგებმაც მოგვისმინონ, — მიმართა ქართულად ყულიევმა ქარხნის დირექტორს, — კარგიც კია, რომ შემოგვესწრნენ.

სხირტლაძემ ამჯერად ჩვენთვისაც გასაგებად დაიწყო:

— შვიდწლედის პირველი წლის 6 თვის შედეგები თქვენთვისაც ცნობილია, მაჰმედ ყულიევის. კარგად იმუშავეს კოლმეურნეობებმაც და ჩვენი საწარმოების მუშებმაც. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ სტატისტიკური სამმართველოს გამოქვეყნებულ ცნობებში ჩვენი რაიონის მშრომელთა ნაამაგარიც არის ასახული.

— იქნებ თბილისელ ამხანაგებს აინტერესებთ როგორია ეს მაჩვენებლები?

— სწორედ ამ საკითხზე შეგაწუხეთ, — დაეთანხმეთ ყულიევს, — გვაინტერესებს, როგორ შეასრულეთ ამ დარგში ნაკისრი ვალდებულებანი.

ქარხნის დირექტორმა გადაშალა ქაღალდები. იგი ლაპარაკობდა ციფრებს ენით, მაგრამ არ იყო მოსაწყენი. ამ ციფრებში მოჩანდა დმანისელ მეცხოველეთა შემართების სასიხარულო შედეგები.

ექვს თვეში მიიღეს და გადაამუშავეს 2.773 ტონა რძე, ვალდებულება კი 2.538 ტონას ითვალისწინებდა. ეს ხომ 243 ტონით მეტია შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით! კარაქი გამოუშვეს 366 ცენტნერი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 305 ცენტნერისა; ყველი სახის ყველი სამშობლოს მისცეს 2.245 ცენტნერი, გეგმა კი 1.772 ცენტნერს ითვალისწინებდა.

აქ წელს პირველად აითვისეს ახალი სახის პროდუქციის — რძის შაქრის წარმოება. ექვს თვეში 110 ცენტნერი გამოუშვეს, რაც 10 ცენტნერით აღემატება ვალდებულებას. რძის შაქარი მზადდება გადამუშავებული რძის ნარჩენიდან — რძის შრატიდან. ეს პროდუქცია მთლიანად ეგზავნება ფარმაცევტიულ მრეწველობას, რასაც იყენებენ ძვირფასი პრეპარატის დასამზადებლად.

2.

— შეიძლება „კომუნისტის" მკითხველებმა არც კი იციან, თუ რძის რა სახის მზა პროდუქციას აწვდიან ჩვენი რაიონის მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობას? — შენიშნა ამხ. ყულიევმა და განაგრძო, — ისე კი კარგი იქნებოდა, რომ სცოდნოდათ. დმანისელები ხომ არაფერს იშურებენ, ოღონდ სამრეწველო ქალაქების მშრომელები უზრუნველყონ მეცხოველეობის ხარისხოვანი პროდუქტებით!

ნათქვამის სინამდვილეში ნათლად დარწმუნდით, როცა გაეცანით დმანისის ყველის ქარხნის საქმიანობას. საწარმოში მაშინ მივედით, როდესაც ბაშკეჩეთის მეცხოველეობის საჯიშე მეურნეობის წარმომადგენელი არამ ტონოიანი ქარხანას რძეს აბარებდა.

— ყოველდღეურად რამდენ ტონა რძეს აბარებთ ქარხანას? — შეეკითხეთ ტონოიანს.

— ჯერჯერობით 3,5 ტონას. უახლოეს მომავალში 4 ტონასაც გადაეკარებით.

— როგორია რძის ცხიმიანობა?

— 4-5 პროცენტამდე აღწევს. — ამჯერად გვიპასუხა რძის მიმღებმა ივანე გონჩარო

, რომელიც ამავე დროს საამქროს უფროსადაც ითვლება.

ქარხნის საამქროში უზარმაზარი ქვაბები დგას, თვითეული მათგანი 1000-1200 კილოგრამ რძეს იტევს. აქ ხდება რძის მომზადება ჩვეულებრივი ქართული ყველის, სულგუნისა და შვიცარული ყველის დასამზადებლად.

— მე კი მეგონა, თბილისის სასურსათო მაღაზიებში რომ შვეიცარული ყველი იყიდება, შვეიცარიიდან მოაქვთ მეთქი! — გულუბრყვილოდ ჩაილაპარაკა ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა.

— აი სწორედ მაგაშია საქმე, რომ თქვენ ასე გგონიათ, — უპასუხა ყულიევმა, — მაშასადამე, არა მარტო თქვენ, შეიძლება ბევრ სხვასაც ასეთი წარმოდგენა აქვს.

მართალია, შვეიცარული ყველის წარმოებაში ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამოყენებული მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მეტწილად სამუშაოები პრიმიტიულად და ხელით სრულდება, მაგრამ თქვენს ყურადღებას იპყრობს აქ გამეფებული იდეალური სისუფთავე. მუშათა ენერგიული მუშაობა.

რძით სავსე ქვაბებს დასტრიალებენ : თეთრხალათიანი ადამიანები, ამოწმებენ რძის შემზადებას პროდუქციის გამოსაშვებად, ლაბორანტები წამდაუწუმ იღებენ სინჯს ლაბორატორიული გასინჯვისათვის, ცხიმიანობის დასადგენად.

მეორე ომის ქარიანი ღამე

ალ. ბოროზდინის ეპოპეა

3.

ყოფილბართ აირი-კარის და შამბიანის მთებზე? თუ არ ყოფილბართ, ჯერ წარმოიდგენთ მათს სილამაზეს.

ზღვის დონიდან 1.700 მეტრს აღემატება მათი სიმაღლე. ზაფხულის პაპანაქება დღეს, როცა დაბლა სიცხის ბუღი ტრიალებს და გარემო ალმოდებულ თონეს ჰგავს, აირი-კარის იალღებზე სიცივე გიპყრობთ. მახლობელ ღელეებში ჩარჩენილი თოვლის სიო თქვენსამდის აღწევს, გრძნობთ მოლალპე მზის სხივების უძლურებას, ნანობთ რატომ არ წამოიღეთ უბრალო წამოსასხამი, რომ სიცივისაგან შეერეოლებული სხეული ოდნავ მაინც გაგეთბოთ.

— ივან პეტროვიჩ, შემთხვევით წამოსასხამი ხომ არ წამოგყოლიათ,— შეეკითხა თავის მძღოლს მაჰმედ ყულიევი, როცა შენიშნა, რომ განსაკუთრებით ჩემი თანამგზავრი სიცივისაგან თითქმის მთლად აძაგძაგდა.

— ამ პაპანაქება სიცხეში წამოსასხამს როგორ წამოვიღებდი. სხვა არა იყოს რა, ბავშვებს სიცილად არ ეყოფოდათ, ეგ რომ გამეკეთებინა, — უპასუხა მძღოლმა რაიკომის მდივანს და ჩემი თანამგზავრი გაამხნევა: — ვახტანგ ბატონო, თქვენ კოსტიუმში მაინც გაცივიათ, აბა შემომხედეთ, მე პერანგის ამარა ვარ!

სირცხვილით იყო თუ შინაგანი ძალების მობილიზაციით, ვახტანგმა ძაგძაგს მოუკლო, ოცოდე მეტრის მანძილზე გაირბინ-გამოირბინა, ერთხანს აღმართსაც „შეებრძოლა", სანამ შუბლზე ოფლის მარგალიტებმა არ გამოაყარა.

მალე ამ მთის ძირში გავაკებული ტრამალებისაკენ დავეშვით.

— ეს ალპური საძოვრები სოფელ კამარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის, — გვითხრა რაიკომის მდივანმა, — აქ იმყოფება საკოლმეურნეობათაშორისო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქი ფერმის ერთი ბრიგადა. როგორც წელან მოგახსენეთ, ასეთი ბრიგადა ამ ფერმას 10 აქვს და ამ ალპური საძოვრების სხვადასხვა უბანზეა დაბანაკებული.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა დანიშნულება აქვს ამ საკოლმეურნეობათაშორისო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას? როდესაც ამ ფერმას ქმნიდნენ, დმანისელები მიზნად ისახავდნენ ხორცის წარმოების თვალსაჩინოდ გადიდებას. მით უმეტეს, რომ მათ შვიდწლედის პირველი წლისათვის გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. კერძოდ — 1959 წელს ეს პეტკარ მიწის სავარგულებზე აწარმოონ 45 ცენტნერი ხორცი, 165 ცენტნერი რძე, საფურაქი ძროხის წველადობა აიყვანონ 2.000 კილოგრამამდე, წლის განმავლობაში სახელმწიფოსათვის მისაყიდად გასუქონ სულ ცოტა 2.000 გოქი, ამასთან თვითეულის წონა აიყვანონ 75-80 კილოგრამამდე, სუქებიდან მოხსნან 15.000 ცხვარი და 20.000 ფრთა ფრინველი.

ამ ვალდებულებათა შესრულება არც თუ ისე იოლი საქმეა. მაგრამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგები იმაზე მეტყველებენ, რომ დმანისელებმა სიტყვა საქმედ აქციეს.

1 ივლისისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მოწველილი ჰქონდათ 1.034 კილოგრამი რძე, ვალდებულების ნახევარზე მეტი.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით რაიონის კოლმეურნეობებს სუქებაზე დაყენებული ჰყავთ 2.300 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეული, 2.000 ღორი, 15.000 ცხვარი. პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

როდესაც საკოლმეურნეობათაშორისო გასასუქებელი ფერმის ერთი ბრიგადის ბინაში მივედით, ბრიგადირი ვეისალ კადირის-ძე აბდულაევი იჯდა და თავისთვის რაღაცას გატაცებით ანგარიშობდა. საქმით გართულმა ვეისალმა მისულნი ვერც კი შეგვნიშნა.

— რას ანგარიშობ, ამხანაგო აბდულაევ? — შეეხვინა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზაქარია მენთაშაშვილი.

ბრიგადირი მოულოდნელობისაგან შეკრთა, სწრაფად შეადგა, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

— არა... ისე, ჩემთვის...

— ჰო, რას ანგარიშობდი შენთვის, ჩვენც გაგვაგებინე, თუ საიდუმლო არ არის, — ახლა რაიკომის მდივანი დაინტერესდა.

— საიდუმლო კი არა, საერთო საქმეა,— ახლა კი გაბედულად დაიწყო აბდულაევმა, — ჩემს ბრიგადაში 230 მოზვერი მყავს. აბა შეხედეთ, თითო საბალახოზე მდგომი პირუტყვისაკენ გაიშვირა,— მოზვრები კიტრივით დამრგვალდნენ.

— რამდენს მატულობენ დღე-ღამეში?

— მეც სწორედ მაგას ვანგარიშობდი. ამ თვეში სამჯერ აეწონეთ საკონტროლოდ. პირველად 800 გრამი საღღეღამისო მატება მივიღეთ, მეორედ — 850 გრამი, ამ სამი დღის წინათ რომ აეწონეთ, მაშინ კი თითქმის 900 გრამამდე.

— ისე რომ კილოგრამს მიახლოებ



გადაფურცლე წარსულის მატიანე

მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორც ისტორიის ცოცხალი მოწმენი და ხელოვნების იშვიათი ნიმუშები, ყოველთვის ხიბლავდნენ და აოცებდნენ მნახველებს, ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანებს. ისინი ნამდვილად წარმოადგენენ წარმტაცი ბუნების წიაღში გვირგვინის თვლებივით ჩასმულ ძველი კულტურის საუნჯეებს. ამიტომ ჯეროვანი ყურადღება ექცევა მათს დაცვას. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ამ ძეგლებმა ჩამობერტყეს საუკუნეთა მტვერი და მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ჩვენი ხალხის გმირული ისტორია.

ქუთაისში ჩამოსული მეცნიერი, მკვლევარი, ცნობისმოყვარე ტურისტი თუ სხვა სტუმარი არ შეიძლება არ დაინტერესდეს ამ ქალაქის ისტორიული ძეგლებით.

მწვანეში ჩაფლულ ქუთაისს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის მაღლობიდან ამაყად გამოსცქერის დიდი წარსულის მომსწრე ბაგრატის ტაძარი, რომელიც ძველად საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა. მას საფუძველი ჩაეყარა X—XI საუკუნეების მიჯნაზე. მაშინ, როცა საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროებისაგან გაერთიანებული ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ამ ეპოქაში ხუროთმოძღვრებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

ბაგრატის ტაძარი მნახველებს ხიბლავს და იზიდავს თავისი გრანდიოზულობით. ამჟამად მის სარესტავრაციო სამუშაოებს ფრთხილად და დიდი გულისყურით აწარმოებენ ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. ცინცაძე და ინჟინერი გ. ასათიანი. დღემდე ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებზე მილიონ მანეთზე მეტია დახარჯული. აღდგენითი სამუშაოები კვლავ გრძელდება.

მნახველთა დიდ აღტაცებას იწვევს გელათის ისტორიულ-არქიტექტურული ანსამბლი. იგი XII საუკუნის დიდებული ძეგლია. აქ თითქმის მთელი სამონასტრო ანსამბლია ჩვენამდე მოღწეული. თავისი გრანდიოზულობითა და არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა მთავარი ტაძარი. მასში დაცულია მეთორმეტე საუკუნის მოზაიკა. მაგრამ რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ მნახველებს, ეს არის ხახელგანთქმული სამეცნიერო დაწესებულება-აკადემია, რომელშიც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვ. ამიტომაც ამბობს მემატიანე, რომ გელათი არის „ახლისა ალმოსავლეთისა მეორეად იერუსალიმი და სხვად ათინა“.

აქაც დიდი ღონისძიებები ხორციელდება ამ ისტორიული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციისათვის. გამაგრდა ფრესკები დასავლეთ და სამხრეთ მინაშენში, შეკეთდა ძეგლების დანგრეული ნაწილები, განსაკუთრებით დიდი მუშაობა წარმოებს აკადემიის შენობის გამაგრება-რესტავრაციისათვის. გელათის აკადემიის აღდგენითს სამუშაოებზე წელს 100 ათასი მანეთი დაიხარჯება. ამ ისტორიული ძეგლებით აღფრთოვანებულ მნახველს გული მიუწევს დაათვალიეროს გეგუთის ციხე-დარბაზი, რომელიც ქუთაისიდან 7-8 კილომეტრზე მდებარეობს.

XII საუკუნის არქიტექტურულ ძეგლებს შორის გეგუთის ციხე-დარბაზს, როგორც საერო დანიშნულების ნაგებობას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მართალია, იგი საგრძნობლად დაზიანებულია, მისი დიდი ნაწილი მიწით იყო დაფარული და მხოლოდ შენობის გუმბათი მოჩანდა, მაგრამ 1953 წლიდან წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გაამდიდრა მეცნიერული ცოდნა გეგუთის ციხე-დარბაზის შესახებ.

ამჟამად ამ ძეგლის დათვალიერება დიდ ინტერესს იწვევს. იგი წარმოადგენდა სამეფო სასახლეს, სადაც საქართველოს მეფეებს დავით აღმაშენებლის დროიდან უხდებოდათ ყოფნა. ამიტომაც ექსკურსანტები ინტერესით ათვალიერებენ მეფეთა, საწოლ, სახაზინო, საჭირნახულო და სხვა სამეურნეო დანიშნულების ოთახებს. დღემდე ამ ციხე-დარბაზის აღდგენითს სამუშაოებზე ორ მილიონ მანეთამდე დაიხარჯა.

მატერიალური კულტურის ბევრი ასეთი ძეგლი გვაქვს ქუთაისის მახლობლად. მათი დათვალიერების შემდეგ ექსკურსანტები ინტერესით ათვალიერებენ სათაფლიის გამოქვაბულს, რომელსაც სულ ალლახან ახალი მღვიმეები შეემატება. სათაფლიის ირგვლივ მდებარე ტყე ნაკრძალად არის გამოცხადებული. საჭიროა ამ ადგილის კეთილმოწყობა, იმის უზრუნველყოფა, რომ ამ ძეგლების დათვალიერების შემდეგ ბუნების წიაღში „კულტურულად დაისვენონ“ მშრომელებმა.

მეტი ყურადღება ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებს, ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის მოწმეებს, მათი შესწავლა, მოვლა-პატრონობა და კეთილმოწყობა მთელი ხალხის პატრიოტულ საქმედ უნდა გადაიქცეს.

გ. მეფისაშვილი,
ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორი.

• • •

სურათზე: გელათის მონასტერი.
ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.



„მდინარის პირას“
ფოტოტიუდი ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

შემთხვევა ლიახვზე

ჯავა. (ტელეფონით). ეს იყო გუშინ. ცადაწვდილი მთები გათენებიდანვე ღრუბლებში იყო გახვეული. საშინელი ნიაღვარი მოდიოდა. მოსკდა მთის პატარა მდინარეები, ისინი მრისხანე ღვარებად იქცნენ. აბობოქრდა მდინარე ლიახვიც. მისთვის ეს უჩვეულო როდია, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მრისხანე იყო. მდინარეს მოჰქონდა მოგლეჯილი უშველებელი ნაძვები, ფიჭვები, შემკავებელი დამბები.

ჯერ მდინარე არც ისე იყო ადიდებული, როცა ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის მეჯინიბე მაგრეზი ბიაზროვი მდინარის პირას გავიდა. გავიდა, მაგრამ საუბედუროდ მდინარემ ძალიან მოიმატა და მ. ბიაზროვი უცებ კუნძულზე აღმოჩნდა. ადამიანი საფრთხეში ჩავარდა. მდინარის ნაპირები ხალხით აივსო. მცხოვრებლები, კურორტის დამსვენებლები უყურებდნენ მოზღვავებულ მდინარეს და კუნძულზე დარჩენილ ადამიანს, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ.

მაგრეზის გადასარჩენად გამოძახებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ვერტმფრენი. მაგრამ მდინარე თანდათან მატულობდა, ვერტმფრენი კი იგვიანებდა. წყალი კუნძულს უკვე წალეკვით დაემუქრა. ამ დროს გამოჩნდნენ მამაცი ადამიანები — სოფელ გუფთის კოლმეურნეობის მოანგარიშე ჯ. ბითიევი და ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჭარქუსოვი. მათ არ დაუცადეს ვერტმფრენის მოსვლას და ადიდებულ წყალში შეცურდნენ. ორივემ ერთად ბიაზროვი ნაპირზე გამოიყვანა. ვერტმფრენი რომ მოვიდა, ადამიანები უკვე სამშვიდობოს იყვნენ.

ი. თოდიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მწყემსის მამაცობა

ყაზბეგი, 6 აგვისტო. (საქდესი). ამ დღეებში გორისციხის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკმა ვ. კორსიბაშვილმა მიაგნო მგლის ბუნაგს, დედალ-მამალი მგლები სასიკვდილოდ დაჭრა და 3 ლეკვი მოკლა.

მამაცი მწყემსი კოლმეურნეობამ დააჯილდოვა.

ნარზანის ახალი წყარო

ყაზბეგი, 7 აგვისტო. (საქდესი). სოფელ ვარდისუბნის მიდამოებში მიწის მბურღავებმა 140 მეტრ სიღრმეზე იპოვეს მინერალური წყლის ნარზანის ძლიერი შადრევანი.

ახლა აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ნარზანის ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა.

სტრატოსფეროს მზვერავები

მეტეოროლოგიური რაკეტების ფრენა

თვალისმომჭრელი, ელვარე ალი სვეტად ავარდება მაღლა, ირგვლივ ყინულებზე შუქი აციმციმდება. ეს სვეტი ზღაპრული ფასკუნჯის შუქმფენ ბოლოს მოგაგონებს. წამი, და უზარმაზარი ჭურვი ალის ფრქვევით ცისკენ აიჭრება. შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს, რომ ყოველ წამში ჭურვი სულ უფრო და უფრო სწრაფად მოძრაობს, ცის კამარას გაჭვეთს და უცნობ სივრცეებში შეიჭრება. მის ფრენას განუწყვეტლივ ადევნებენ თვალს არა მარტო ადამიანები, რომლებიც ჩამალული არიან პატარა სახლში არქტიკული კუნძულის კიდეზე, არამედ ათობით ხელსაწყობიც. ჰეისის კუნძულიდან, რომელიც ფრანც-იოსების მიწის არქიპელაგის თითქმის ცენტრში მდებარეობს, სტრატოსფეროს სიღრმის საზვერავად სტარტი აიღო მორიგმა მეტეოროლოგიურმა რაკეტამ.

ეს რაკეტები გაცილებით უფრო პატარაა, ვიდრე მათი უფროსი დები — გეოფიზიკოსთა რაკეტები. მათში ცოცხალი მგზავრები არ არიან და ისინი ვერ დაიტრაბახებენ, რომ იერიში მიაკეთ კოსმოსს სივრცეებზე. მათი ამოცანებიც უფრო მარტივია — უნდა ავიდნენ 80-90 კილომეტრზე და გზიდან გადმოსცენ ტემპერატურისა და წნევის გაზომვა, ხოლო იქ, სადაც სტრატოსფეროს ზემო კიდეზე უკანეკნ დედამიწისაკენ „გამოისროლონ“ საკუთარი „თავი“, რომელიც ადამიანებმა ესოდენ გულმოდგინედ აღჭურვეს სხვადასხვანაირი ხელსაწყოებით.

მაღლა ფრენა რამდენიმე წუთს გრძელდება. რაკეტის რადიოსადგური მთელი ამ ხნის განმავლობაში გადმოსცემს სიგნალებს დედამიწაზე. ეს სიგნალები კონოლენტზე იწერება. შემდეგ მათს გაშიფვრას ცოტა დრო კი არ დასჭირდება: მაღლა ფრენისას რაკეტა ხომ ხახუნისაგან ხურდება და ეს გაგვლენას ახდენს ყველა ხელსაწყოს ჩვენებაზე.

უკან დაბრუნება უფრო რთულია. პირველ კილომეტრებზე პარაშუტი არ ამუხრუჭებს, არამედ მხოლოდ მიმართულებას აძლევს ფრენას: ჰაერი იმდენად გაშვიათებულია, რომ ჯერ კიდევ არ შეუძლია გაასწოროს. იგი. მხოლოდ 60 კილომეტრ სიმაღლიდან იწყება პარაშუტის გავლება. „გახანგრძლივებული ხტომა“ დამთავრებულია, იწყება ნორმალური ვარდნა. თითქმის საათი გავა, სანამ რაკეტის სათავე ნაწილი დედამიწაზე დაბრუნდებოდეს. მისკენ უკვე მიეშურებიან მოთხილამურეები. და აი თოვლზე წითელ ლაქად ეშვება პარაშუტი...

სტრატოსფეროს დაზვერვა მეტეოროლოგიური რაკეტების საშუალებით განსაკუთრებით გაფართოვდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დროს. საერთაშორისო პროგრამის შესაბამისად ამ პერიოდის მანძილზე ჰეისის კუნძულიდან (მე-80 პარალელზე), სსრ კავშირის საშუალო განედებიდან და საბჭოთა დიდელ-ელექტროძავალ „ობიდან“, რომელიც სამხრეთ პოლარულ წყლებში ცურავს, გაშვებულ იქნა 125 რაკეტა.

აშკარად გრძელდება მეტეოროლოგიური რაკეტების გაშვება კვლევითი მიზნებით საერთაშორისო გეოფიზიკური თანამშრომლობის პროგრამის მიხედვით.

რა სიახლე შეიტანეს მეტეოროლოგიურმა რაკეტებმა ჩვენს ცოდნაში დედამიწის ჰაერის გარსის შესახებ? რა მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მათი დახმარებით შეკრებილ მონაცემებს? ამ კითხვებით მიმართეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს ცენტრალურ აეროლოგიურ ობსერვატორიას.

წინასწარ შევნიშნავთ: მეცნიერთათვისაც ჯერ კიდევ ყველაფერი როდია ხათელი მატერიის იმ მარადიულ ფრებრუნვაში, რომელიც ჰაერის ოკეანის სიღრმეებში ხდება. ამ სიღრმეებში შეღწევა ხომ შედარებით ცოტა ხნის წინათ დაიწყო. რაკეტის თვითეულ გაფრენას ახალი მონაცემები მოაქვს. ზოგჯერ ეს საშუალებას იძლევა შეგამოწმოთ ესა თუ ის ჰიპოთეზა, მაგრამ საერთოდ შეკრებილი მასალები ჯერ კიდევ ცოტაა. და მაინც ადამიანისათვის უკვე ნაწილობრივ ცნობილი ხდება ზოგიერთი საიდუმლოება.

ცნობილია, რომ ატმოსფერო ასობით კილომეტრზეა დედამიწის ზედაპირიდან. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს „მეტეოროლოგთა სამფლობელო“ — ატმოსფეროს ფენა დედამიწიდან 80-90 კილომეტრ სიმაღლემდე, სწორედ აქ თავმოყრილია ატმოსფეროს მთელი მასის 95 პროცენტზე მეტი. აქ ჰაერის ფენები კიდევ იხარჩუნებენ ერთგვარ სიმკვრივეს. უფრო მაღლა ჰაერი უაღრესად გაიშვიათებულია, იქ მდებარეობს იონოსფეროს, ოთული ატომიდა და მოლეკულაშიდა პროცესების სფერო.

ჰაერის მასების გადაადგილებას, სიმკვრივისა და ტემპერატურის განაწილებას 80-90 კილომეტრ სიმაღლემდე პირდაპირი დამოკიდებულება აქვს დედამიწაზე ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასთან. ჰაერის ოკეანის ამ სფეროში ყალიბდება დედამიწის ამინდი. აქ უკვე ახლა დაფრინავენ თვითმფრინავები, ხოლო ახლო მომავალში ყველაზე დიდი სიძნელეები შეხვდებათ კოსმოსის ხომალდებს, რომლებიც შორეული ფრენიდან დაბრუნდებიან. დიდმნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ ეს ფენა იკავებ ადამიანსა და ყოველივე ცოცხალს დედამიწაზე მზის მოკლეტალღოვანი დამღუპველი რადიაციისაგან, მისი ხისტი ულტრაიისფერი და რენტგენის სხივებისაგან.

ათი წლის მანძილზე რაკეტების კვლევის შემუეგ მტკიცედ არის დადგენილი, რომ ჰაერის შემადგენლობა მთელ მის სივრცეში ოონოსფეროს ქვედა საზღვრამდე ისეთივეა, როგორც დედამიწის ზედაპირთან. 99 პროცენტზე მეტს აზოტი და ჟანგბადი შეადგენს. ჰაერში ოზონი პროცენტის მხოლოდ მემილიონედი ნაწილია. მაგრამ სწორედ იგი ნთქავს მზის მავნე გამოსხივებას.

მკაფიოდ განისაზღვრა ტემპერატურის რეჟიმიც. ჩვენს ზომიერ განედებში 10-11 კილომეტრ სიმაღლემდე (ეს არის ატმოსფეროს ქვემო ნაწილი, იგრეწოდებული ტროპოსფერო) ჰაერის ტემპერატურა 6-6,5 გრადუსით დაბლა ეწევის ყოველ კილომეტრ სიმაღლეზე. შემდეგ 35 კილომეტრამდე მდებარეობს ნაკლებად ცვალებადი ტემპერატურის მასები, ხოლო 35 კილომეტრ სიმაღლიდან ტემპერატურა იზრდება და დაახლოებით 50 კილომეტრ სიმაღლეზე აღწევს მაქსიმუმს, რომელიც ნულთან ახლო დგას. 50 კილომეტრს ზევით სტრატოსფეროს ზემო საზღვრებამდე ტემპერატურა კვლავ ეცემა და 80-90 კილომეტრ სიმაღლეზე საშუალოდ 60 გრადუს, ხოლო ზოგჯერ 90 გრადუს ყინვას აღწევს. ეს უკვე კოსმოსის სიცივეა.

უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დადგენილია სეზონური ცვლილებანი სტრატოსფეროს „ჰავაში“. თერმე სტრატოსფეროს თავისი ზამთარი და გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა ჰქონია. გამოვლენილია აგრეთვე გეოგრაფიული, განედური თავისებურებანი ტემპერატურისა და წნევის განაწილებაში. ეკვატორის ჩრდილოეთითა და სამხრეთით ეს თავისებურებანი უფრო მკვეთრად იჩენენ თავს. მაშასადამე, უდიდეს სიმაღლეებზეც არსებობს თავისი ეკვატორული ზონა, თავისი ზომიერი განედები და პოლარული სფეროები. ყოველივე ეს თავის დაღს ასვამს ამინდის პირობებს დედამიწის ზედაპირთან მდებარე ფენაში.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მიაჩნდათ, რომ ჰაერის მასების (პოლარულისა თუ ტროპიკულის) შემოჭრა, ციკლონები და ანტიციკლონები მხოლოდ ტროპოსფეროში ხდება, დედამიწის ზედაპირიდან შედარებით მცირე სიმაღლეზე. ახლა ცნობილია, რომ ეს მოვლენები მოიცავს სტრატოსფეროს მნიშვნელოვან სისქეს და ამორჩევებს ჰაერის გიგანტურ მასებს. დიდ სიმაღლეებზე ვრცელდება მატერიკებს ზემოთ ჰავის კონტინენტურობაც და ოკეანეთა გავლენაც.

იქიდან, რაც მეცნიერებმა შეიტყვეს, ჯერ ყველაფერს როდი მიუღია მკაფიო ფიზიკური ახსნა. ნათელი არ ყრის ატმოსფეროს სიღრმეში ჰაერის მასების ურთიერთმოქმედების მთელი მექანიზმიც. სტრატოსფეროს დაზვერვა გრძელდება.

მ. ჩერნენკო.



სურათებზე: ზემოთ — მეტეოროლოგიური რაკეტის გაშვება ჰეისის კუნძულზე. ქვემოთ — რაკეტის სათავე ნაწილი დაეშვა თოვლის ხორგებში.

ფოტო სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის ოპერატორების ნ. შუმოვისა და ო. ლებედინსკისა.

მოკლედ ყველაფერზე

◎ **ვანის** რაიონულ ცენტრში ააგეს ახალი კეთილმოწყობილი საზაფხულო კინოთეატრი, რომელიც 500-მდე მაყურებელს იტევს. საზაფხულო კინოთეატრის მშენებლობაზე ნახევარ მილიონ მანეთამდე დაიხარჯა. იგი ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

◎ **სოფელი სალხინო** ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა არა მარტო გეგეჭკორის რაიონში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში. სწორედ აქ, ამ მიდამოებში, მდინარე წაჩხურას ხეობაში, ახლოვან ჭანდრებში, მოეწყო პიონერთა ბანაკი. 100-ზე მეტი ბავშვი ატარებს ზაფხულს სალხინოს პიონერთა ბანაკში.

◎ **მაიაკოვსკის** რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებს საძოვრებზე შემოეჩვიათ დათვი, რომელმაც ძროხა მოიტაცა. მწყემსებმა აცნობეს ამავე კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირს გამოცდილ მონადირეს ნ. თოლორდავას, რომელმაც მალე მიაგნო დათვის ბუნაგს და მოკლა მხეცი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УЭ 05539

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ყოველი მხრიდან

ვიზიტი ლონდონსა და პარიზში

ლონდონი, 7 აგვისტო. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი 28 აგვისტოს ჩამოვა ლონდონს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანთან მოსალაპარაკებლად.

პარიზი, 7 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი პარიზს ჩამოვა 2 სექტემბერს.

დ. ეიზენჰაუერის სიტყვა

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა რადიოთი წარმოთქვა სიტყვა, მიძღვნილი შრომის კანონმდებლობის რეფორმისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში. პრეზიდენტმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ამერიკის პროფკავშირებში შეიპარნენ „ბანდიტები, გამომძალველები და სხვა მოსყიდული ელემენტები“.

დაიმოწმა რა ზოგიერთი პროფკავშირის საქმიანობის გამოკვლევა, რაც ამას წინათ მოაწყო ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის კომისიამ, ეიზენჰაუერმა მოითხოვა გაუქმდეს მუშათა პიკეტირების უფლება, აგრეთვე შტატების ხელისუფლებს მიენიჭოთ უფლება ჩაერიონ შრომის კონფლიქტებში „მათი მოწესრიგების მიზნით“. დღემდე ასეთი უფლება ჰქონდა მხოლოდ მთავრობის სპეციალურ „საშუამავლო“ ორგანოს.

ეიზენჰაუერმა ურჩია კონგრესს, რომელსაც განსახილველად აქვს წარდგენილი მთელი რიგი ახალი კანონპროექტები პროფკავშირებსა და მეწარმეთა შორის კონფლიქტებს მოგვარების წესის შესახებ, შეერთანოს ახალ კანონებში მისი წინადადებანი.

უანგარო დახმარება

ბაღდადი, 7 აგვისტო. (საკდესი) გუშინ აქ რადიოს სახლში გაიმართა ახალი სტუდიური კომპლექსის გახსნის ცერემონია, რომელიც მოკლე ვადაში აშენდა საბჭოთა სპეციალისტების პროექტებითა და დახმარებით იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც დაიდო სსრ კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ამ სტუდიის შექმნა, რომელიც აღჭურვილია უახლესი საბჭოთა რადიოტექნიკური მოწყობილობით, გაუმჯობესებს რადიოგადაცემათა ხარისხს და გადაცემების წარმოებას ერთსა და იმავე დროს ოთხი პროგრამით. დღემდე ბაღდადის რადიოს ერთსა და იმავე დროს შეეძლო მხოლოდ ორი პროგრამის გადაცემა.

გახსნას დაესწრნენ ერაყის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ყასემის მეთაურობით, ერაყის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობდნენ სტუდიის მშენებლობის პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ჟურნალისტები.

ბაღდადის რადიოს მთავარმა ინჟინერმა მუჰამედ ალი ბაღდადიმ ერაყის საზოგადოებრიობის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა სპეციალისტებს მათი უანგარო დახმარებისათვის ბაღდადის სტუდიური კომპლექსის შექმნაში.

შემდეგ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ყასემმა.

შემცირდა უთანხმოებანი

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი ეენევიდან ვაშინგტონს დაბრუნდა. ვაშინგტონის აეროპორტში მან თქვა, რომ თათბირმა ხელი შეუწყო „ბერლინის მწვავე კრიზისის“ შენელებას, აგრეთვე რამდენადმე შემცირა უთანხმოებანი მხარეთა პოზიციებში „მთელი რიგი პუნქტების“ გამო. თავისი განცხადების დასასრულ ნაწილში ჰერტერი იცავდა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას თათბირზე. იგი ამტკიცებდა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი თათბირზე ისახავდა ისეთ მიზნებს, რომლებმაც „შეუძლებელი გახადეს შეთანხმების წარმატებით მიღწევა“.

გაუშვეს ამერიკული თანამგზავრი

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. (საკდესი). უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებით, დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტული სისტემის „ტორეიტლის“ დახმარებით გაუშვეს 142 გირვანქა წონის (64 კილოგრამზე ცოტა მეტი) ხელოვნური თანამგზავრი.

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო იუწყება, დედამიწის ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც დღეს გაუშვეს, ორბიტაზე გავიდა.

თავდასხმა ომანზე

კაირო, 7 აგვისტო. (საკდესი). ომანის იმამის ბიურომ კაირომი გუშინ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის სამხედრო თვითმფრინავები თავს დაესხნენ ომანის აზ-ზაჰირის რაიონს. დაბომბვის შედეგად მოკლულია 20 მშვიდობიანი მცხოვრები.

ფეხბურთი

ძველი და საპატიო გამარჯვება

გუშინდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის. მოსკოვი „ლოკომოტივი“ მოგების შემთხვევაში საგრძნობლად იუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას, ვინაიდან ბაკინელ „დინამოსთან“ განსხვავება ექნებოდა მხოლოდ ერთი ქულა. თბილისის „დინამო“ გამარჯვებით კი მტკიცედ მკვიდრდებოდა ლიდერთა სამეულში. ამან გამოიწვია გუშინდელი თამაშის დაძაბულობა და სიმწვავე.

თამაში დაიწყო „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ მეტოქეობით. სტუმართაგან თავდასხმაში გამოირჩეოდა მარცხენა შუამაძავი ვ. ბუბუკინი, რომელსაც თამაშის დაწყებიდან მეორე წუთზე გოლის გატანის ალბათობა ჰქონდა. მაგრამ მეკარე ს. კოტრიკაძის თავგადაწირული ნახტომმა მასპინძლები იხსნა ამ გოლისაგან. მე-11 წუთზე კვლავ ვ. ბუბუკინის გარღვევა, მარცხენა დაბალ კუთხეში ძლიერი დარტყმა, მაგრამ დროზე მოელთა მეკარის ელვისებურმა ნახტომმა იხსნა კარი.

თამაშის მე-19 წუთზე მეკარე მასლენკოსა და ცენტრალური დამცველ მორგაუოვის დაშვებულმა უხერხულობამ ცდომამ საშუალება მისცა თბილისელ ანგარიში გაეხსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე კვლავ გაიმართა დაძაბული ბრძოლა. პირველივე წუთში ვ. ბუბუკინის აქეს საშანსი გაათანაბროს ანგარიში, მაგრამ ს. კოტრიკაძეს თავგადაწირული ნახტომით ბურთი ფეხიდან აიცალა. მოსკოველებმა ლილელილელებმა კვლავ შეუტიეს. მოსკოველთა კარს: მე-14 წუთზე ვ. ბარანოვი ეცემა მარჯვენა ფეხიდან. მოეწინააღმდეგის საპარიმო მოედანზე, ბურთი ზუსტად ჩააწოდა კარისაკენ და ს. ბუბუკინმა ძლიერი თაური დარტყმა გაზარდა ანგარიში.

გუშინდელ მატჩში თბილისელებმა გვიჩვენეს ძლიერი, თავდადებული თამაში.

ა. ზაზროშვილი,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

სპორტი

9 აგვისტო

საღამოს

19.30 — გადაცემები საბჭოთა არმიის მეომრებისათვის: 1. სტუდიაში არიან ბ. მილი მშენებლები, 2. კონცერტი. 20.2 — კინოჟურნალი, 20.30 — მშენებლ. დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.50 — დოკუმენტური ფილმი. 21.30 — მხატ. ული ფილმი „იდიოტი“ (მაყურებელ. თხოვნით).